ევროკავშირი
საქართველოსთვის
Skills4Jobs

Save the Children

# ახალგაზრდულ მუშაკთა თვითშეფასებისა და თვითგანვითარების ხელსაწყო



საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია

ახალგაზრდობის სააგენტო

KONRAD ADENAUER STIFTUNG

# ახალგაზრდულ მუშაკთა თვითშეფასებისა და თვითგანვითარების ხელსაწყო

## სახელმძღვანელო ახალგაზრდული მუშაკებისთვის

სახელმძღვანელო შექმნილია
**საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაციის მიერ**

სახელმძღვანელოს ავტორები:
ნინო წულაია, სულხან ჩარგეიშვილი

საბოლოო რედაქცია:
გუბაზ კობერიძე

2021

სახელმძღვანელო შექმნილია „საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაციის“ მიერ პროექტის „უნარები წარმატებისთვის“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ევროკავშირის დაფინანსებით Save the Children-ის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად. პროექტის პარტნიორი ორგანიზაციები არიან: „საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია“, „კონრად ადენაუერის ფონდი“ და „ახალგაზრდობის სააგენტო“. პროექტი მიზნად ისახავს NEET ახალგაზრდების (ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან დასაქმების, განათლების ან ტრენინგის სერვისში ჩართულები) დასაქმების ხელშეწყობას მობილური ახალგაზრდული საქმიანობის განვითარებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს პრაქტიკოს ახალგაზრდულ მუშაკებს. ასოციაცია მიზნად ისახავს ახალგაზრდული საქმიანობისა და ახალგაზრდულ მუშაკთა განვითარებისა და აღიარების ხელშეწყობას საქართველოში.

ამ პუბლიკაციის მასალის გამრავლება ნებადართულია მხოლოდ არაკომერციული, საგანმანათლებლო მიზნებით და წყაროს სათანადოდ მითითებით.

პუბლიკაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი კორესპონდენცია უნდა გაეგზავნოს „საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაციას“:

საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია

https://youthworkers.ge
info@youthworkers.ge

ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკული სახელმძღვანელო
© საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია

სახელმძღვანელოს ავტორები: ნინო წულაია, სულხან ჩარგეიშვილი
გრამატიკული რედაქტირება: მარიამ ბერძული
საბოლოო რედაქცია: გუბაზ კობერიძე
სახელმძღვანელოს დიზაინი: ანანო რაზმაძე

This publication has been produced with the assistance of the European Union. Its contents are the sole responsibility of The Youth Workers’ Association of Georgia and do not necessarily reflect the views of the European Union.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

# სარჩევი


6 შესავალი

7 ხელსაწყოს მიზანი და გამოყენების ინსტრუქცია

14 ახალგაზრდული საქმიანობის მიმოხილვა

24 ახალგაზრდულ მუშაკთა საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო

24 რა არის კომპეტენცია?

27 ძირითადი კომპეტენციები და ფუნქციები

40 სპეციფიკური კომპეტენციები

40 საერთაშორისო პროექტებზე მომუშავე ახალგაზრდული მუშაკის კომპეტენციების ჩარჩო

44 ციფრული ახალგაზრდული მუშაკის კომპეტენციების ჩარჩო

47 ციფრული ახალგაზრდული მუშაკის კომპეტენციების ჩარჩო

53 სკოლის ახალგაზრდული მუშაკის კომპეტენციების ჩარჩო

57 თვითშეფასებისა და თვითგანვითარების ინსტრუმენტი

57 თვითშეფასების ინსტრუმენტი

62 თვითგანვითარების ინსტრუმენტი

71 თვითშეფასება-თვითგანვითარების ფორმები

90 ტერმინთა განმარტებები

97 გამოყენებული ლიტერატურა

# შესავალი

ახალგაზრდულ მუშაკთა თვითშეფასებისა და თვითგანვითარების ხელსაწყო ეფუძნება ახალგაზრდული საქმიანობის ღირებულებებსა და პრინციპებს, ეს არის პრაქტიკული ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას მისცემს ახალგაზრდულ მუშაკებს (როგორც მოხალისეებს, ასევე პროფესიონალებს) შეაფასონ საკუთარი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, ასევე უფრო ხარისხიანი გახდეს მათი ახალგაზრდებთან მუშაობის პროცესი.

გლობალიზაციისა და მოდერნიზაციის შედეგად მსოფლიო სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება. ახალგაზრდები მრავალ გამოწვევასა და სირთულეს აწყდებიან სხვადასხვა სფეროში. ხშირად, ბიჭები და გოგოები განსხვავეულ ბარიერებს აწყდებიან, რომლებიც ხელს უშლის სრულად მოახდინონ თავიანთი პოტენციალის რეალიზება. ასეთ პირობებში კომპეტენციები, რომლებიც ახალგაზრდებს სჭირდებათ ღირსეული და თვითრეალიზებული ცხოვრებისთვის, გახდა უფრო კომპლექსური. დღევანდელი ცხოვრება უფრო მეტს მოითხოვს ახალგაზრდებისგან, ვიდრე გარკვეული ვიწრო სპეციფიკის პროფესიის ფლობაა. ეს ყოველივე უფრო მეტად მნიშვნელოვანი გახდა 2020 წელს მსოფლიო პანდემიის დაწყების შემდეგ, რადგან ეპიდემიურმა სიტუაციამ ახალგაზრდებს წაართვა უამრავი შესაძლებლობა და ისინი უფრო ჩაკეტილები გახადა. შექმნილი ვითარებით გაოწვეული უარყოფითი გავლენა განსაკუთრებით მძიმეა გოგოებისთვის. პანდემიის პირობებში გაიზარდა გოგოების დატვირთვა საოჯახო საქმეებში, მოხუცზე თუ სხვა მზრუნველობა საჭირო პირის მოვლა-პატრობა, აგრეთვე, იმატა ოჯახში ძალადობისა და ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებმა. შესაბამისად ახლა, ახალგაზრდებს წარმატების მისაღწევად უფრო მეტი ძალისხმევა, მხარდაჭერა, შესაძლებლობა და გამოცდილება სჭირდებათ, ვიდრე ფორმალურ საგანმანათლებლო ინსტიტუტებში იღებენ. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, ახაგაზრდების საჭიროებების გენდერული ანალიზი და მათ საჭიროებებზე მორგებული ღონისძიებების გატარება. მათ სჭირდებათ კომპეტენციები, რომლებსაც განივითარებენ არაფორმალურ გარემოში, რადგან უფრო მეტად შეძლონ საზოგადობაში თავის დამკვიდრება. ამის გათვალისწინებით, ახალგაზრდების ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ახალგაზრდული საქმიანობა. შესაბამისად ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციისა და მათი კეთილდღეობისათვის მნიშვნელოვანია ახალგაზრდული მუშაკის, როგორც პროფესიის არსებობა.

ახალგაზრდული საქმიანობა მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ინსტრუმენტია, რომელიც ხელს უწყობს ჯანსაღად მოაზროვნე ახალგაზრდა პიროვნებების ჩამოყალიბებას; ახალგაზრდების, რომელთაც აქვთ პასუხისმგებლიანი და შემოქმედებითი მიდგომა გამოწვევების დაძლევის პროცესში და აქტიურ მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ახალგაზრდული საქმიანობა შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდებს, განუვითარდეთ კომპეტენციები - ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვნად მონაწილეობისთვის და საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზებისთვის. ახალგაზრდული საქმიანობა ახალგაზრდებს უქმნის მრავალი კომპეტენციის განვითარების შესაძლებლობას, რომლებიც პიროვნული განვითარების გარდა წაადგება თანამედროვე საზოგადოებას.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია მხარი დაუჭიროს ახალგაზრდულ საქმიანობაში ჩართულ პირებს, განსაკუთრებით ახალგაზრდულ მუშაკებს, რომ მათ შეძლონ შეაფასონ მათი კომპეტენციების განვითარების დონე და დაგეგმონ საჭირო განვითარების პროცესები ხელსაწყოში აღწერილი კომპეტენციების შესაბამისად.

# ხელსაწყოს მიზანი და გამოყენების ინსტრუქცია

## ხელსაწყოს დანიშნულება და სარგებელი

ახალგაზრდულ მუშაკთა თვითშეფასებისა და თვითგანვითარების ხელსაწყო პრაქტიკული ინ-სტრუმენტია, რომელიც ახალგაზრდულ საქ-მიანობაში ჩართულ პირებს, განსაკუთრებით ახალგაზრდულ მუშაკებს, მხარს უჭერს, რათა გაეცნონ ახალგაზრდული მუშაკის საკვანძო კომპეტენციებს და შეაფასონ თავიანთი ინდი-ვიდუალური განვითარება ხელსაწყოში აღწე-რილი კომპეტენციების შესაბამისად.

ხელსაწყოს გამოყენება ახალგაზრდულ მუ-შაკებს საშუალებას აძლევს, კრიტიკულად და სიღრმისეულად შეაფასონ საკუთარი პროფე-სიული კომპეტენციები და შეფასების შედე-გად დაგეგმონ სპეციფიკური კომპეტენციების განვითარება ინდივიდუალური განვითარების გეგმის დახმარებით. საბოლოოდ, ხელსაწყოს გამოყენება დაეხმარება ახალგაზრდულ მუშა-კებს, რათა გააუმჯობესონ საკუთარი ახალგა-ზრდული საქმიანობის პრაქტიკა. ასევე, ხელ-საწყო ახალგაზრდულ მუშაკებს, როგორც პროფესიონალებს, ეხმარება შეაფასონ ის კომპეტენციები (ცოდნა, უნარები, დამოკიდე-ბულებები/ღირებულებები), რომლებიც მათ ახალგაზრდებთან ეფექტიანი საქმიანობის წა-რმართვისთვის სჭირდებათ.



## ხელსაწყოს გამოყენების მიდგომები და რჩევები

ახალგაზრდულ მუშაკთა თვითშეფასებისა და თვითგანვითარების ხელსაწყო იყენებს თვით-შეფასების მიდგომას, რაც გულისხმობს ახალგაზრდული მუშაკების ჩართვას საკუთარი კომპე-ტენციების შეფასების პროცესში, უშუალო სუპერვიზიის გარეშე. აღნიშნული მიდგომა შეესა-ბამება არაფორმალური განათლების ძირითად პრინციპებს, რაც გულისხმობს მსწავლელის, პროფესიონალის მიერ ორგანიზებულ სასწავლო პროცესს. სხვაგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელსაწყოს მოხმარება დაფუძნებულია სწავლის სწავლის კომპეტენციის გააზრებაზე. სწავლის სწავლა ესაა პროცესი, რომელიც გულისხმობს ადამიანის მიერ საკუთარი სწავლის მართვის გაცნობიერებას, რაც მოიცავს სწავლის დაგეგმვას, შეფასებასა და მუდმივ მონიტო-რინგს. სწავლის სწავლა ეხება ცოდნას იმის შესახებ, როგორ სწავლობს ადამიანი ეფექტია-ნად (კონკრეტული ამოცანის მოთხოვნების მიღება, მისი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების ცოდნა) და საკუთარი სასწავლო გამოცდილებების რეგულაციას (მოცემული ამოცანის წარმა-ტებით გადაჭრის გზების ცოდნა და გამოყენება). [1]

საქართველოში ეროვნული სასწავლო გეგმა სწავლის სწავლას, როგორც კომპეტენციას ასე

1 განმარტებითი ლექსიკონი/ეროვნ. სასწ. გეგმებისა და შეფასების ცენტრი. - [თბ., 2008].

განსაზღვრავს - სწავლის სწავლა არის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობა, რომელიც გულისხმობს საკუთარი სასწავლო საქმიანობის დაგეგმვასა და ორგანიზებას. ამ კომპეტენციით აღჭურვილი ადამიანი  იყენებს სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა სტრატეგიას, ასევე სასწავლო პროცესზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგებს. იგი ერთ მთლიანობაში აქცევს სხვადასხვა სფეროში მიღებულ ცოდნას და მიზანმიმართულად იყენებს მას, არ კმაყოფილდება მიღწეულით და აქვს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარების უნარი, რაც განაპირობებს მის პიროვნულ და პროფესიულ ზრდას, უზრუნველყოფს ახალი ცოდნის დამოუკიდებლად შეძენას.[2]



## მოტივაციის როლი სწავლის პროცესში

სწავლის მოტივაცია არის ის, რაც განაპირობებს სწავლის სურვილს. მოტივაციის რამდენიმე თეორია არსებობს. აღნიშნული ხელსაწყოს განვითარების პროცესში დავეყრდენით თვით-კმაყოფილების თეორიას, რომლის მიხედვითაც არსებობს ორი სახის მოტივაცია: შინაგანი და გარეგანი.

სწავლის მოტივაცია შეიძლება განპირობებული იყოს როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი ფაქტორებით. შინაგანი მოტივაცია მოიცავს იმ მამოტივირებელ ფაქტორებს, რომელიც კავშირშია ჩვენს მიზნებთან, ღირებულებებთან, ინტერესებთან და შეხედულებებთან მაშინ, როდესაც გარეგანი მოტივაცია კავშირშია იმ გარეგან ფაქტორებთან, რომლებიც არ გამომდინარეობს შინაგანი მიზეზებით.

კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანები, რომლებიც შინაგანად არიან მოტივირებულნი, უფრო მეტ სასწავლო შედეგს აღწევენ და ცდილობენ განსხვავებული მიდგომები სცადონ მიზნის მისაღწევად.  თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ შინაგანი მოტივაცია უფრო მნიშვნელოვნად არის აღიარებული, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გარეგანი მოტივაცია მნიშვნელოვანი არ არის. არის შემთხვევები, როდესაც ვსწავლობთ და შედეგს ვაღწევთ გარეგანი მოტივაციის გავლენით. ნებისმიერი სახის მოტივაცია უმჯობესია, ვიდრე მოტივაციის საერთოდ არ ქონა.

სწავლის მოტივაცია შეიძლება დაკავშირებული იყოს მრავალ ფაქტორთან. მნიშვნელოვანია შევძლოთ იმის იდენტიფიცირება, რა არის ჩვენი მამოტივირებელი ფაქტორები სწავლის პროცესში. ამ გზით ჩვენ შევძლებთ მოტივაციის გაზრდაზე მუშაობას, რათა სასურველ სასწავლო შედეგს მივაღწიოთ. [3]

2 სწავლის სწავლა, ეროვნული სასწავლო გეგმების ვებ-გვერდი http://ncp.ge/ge/stsavlis-stsavla-rogorts-kompetentsia/shesavali
3 One 2 One Supporting Learning Face to Face (YouthPass) https://www.youthpass.eu/downloads/13-62-276/Publication_121_Final.pdf

## პოზიტიური დიალოგის როლი საკუთარ თავთან



პოზიტიური დიალოგი საკუთარ თავთან აპრობირებული ტექნიკაა სწავლის მოტივაციის გასაზრდელად და სასურველი შედეგის მისაღწევად. კვლევებმა აჩვენა, რომ ის ადამიანები, რომლებიც პოზიტიური დიალოგის ტექნიკას იყენებენ უფრო ეფექტიანად აღწევენ სასწავლო მიზნებს, ვიდრე ისინი, ვინც ნეგატიურ დიალოგს მიმართავენ.

ხელსწაყოს გამოყენების პროცესში მნიშვნელოვანია ახალგაზრდულ მუშაკს გააზრებული ჰქონდეს, რატომ სურს მას აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენება და რაში დაეხმარება მას ახალგაზრდული მუშაკის კომპეტენციების თვითშეფასება. შესაბამისად, ჩვენი რჩევაა ხელსაწყოს შევსებამდე ჩამოწეროთ ის მიზეზები, რატომ გადაწყვიტეთ ხელსაწყოს გამოყენება, რა არის თქვენი მოლოდინები ხელსაწყოს გამოყენებასთან დაკავშირებით და როგორ გამოიყენებთ მისი შევსებით მიღებულ შედეგებს თქვენი პიროვნული და პროფესიული ზრდისთვის?

## ვისთვისაა განკუთვნილი ხელსაწყო ?

ხელსაწყო, პირველ რიგში, განკუთვნილია პრაქტიკოსი ახალგაზრდული მუშაკებისთვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხელსაწყოს ძირითადი სამიზნე ის ახალგაზრდული მუშაკები არიან, რომლებიც ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკას ახორციელებენ. ხელსაწყოს გამოყენება ასევე შეუძლიათ იმ ახალგაზრდულ მუშაკებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ახალგაზრდულ მუშაკთა მომზადების ან გადამზადების სასწავლო კურსებსა და პროგრამებში.

ასევე, ხელსაწყოს გამოყენება შეუძლიათ ახალგაზრდა ლიდერებს, მასწავლებლებს, განმანათლებლებს, მენტორებს, ტრენერებსა და სხვა ყველა იმ ადამიანს, რომელიც უშუალოდ მუშაობს ახალგაზრდებთან, მაგრამ არ არის ახალგაზრდული მუშაკი. ამის მიუხედავად, ხელსაწყოს გამოყენება მათვის სასარგებლო იქნება თუ, თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე, ისინი ფიქრობენ, რომ ახალგაზრდული მუშაკის კომპეტენციების შეფასება მათ დაეხმარება საკუთარი პროფესიული პრაქტიკის გაუმჯობესებაში.



## თვითშეფასებისა და თვითგანვითარების მნიშვნელობა და არსი

როგორც უკვე აღვნიშნეთ ხელსაწყოს ძირითადი კომპონენტი ახალგაზრდული მუშაკის კომპეტენციების თვითშეფასების ინსტრუმენტია. თვითშეფასება კომპლექსური პროცესია და მოითხოვს საკუთარ თავთან კრიტიკული კითხვების დასმას. ხელსაწყოში აქცენტი კეთდება ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკის შესახებ რეფლექსიაზე. ხელსაწყოს გამოყენებამდე ახალგაზრდულმა მუშაკებმა მნიშვნელოვანია კარგად გაიაზრონ თვითშეფასების მნიშვნელობა და არსი.

სოციალურ მეცნიერებებში თვითშეფასება განისაზღვრება, როგორც ადამიანის შეხედულება საკუთარ თავზე, რას გრძნობს იგი საკუთარი თავის მიმართ და როგორ აღიქვამენ მას გარშემომყოფები. ადამიანს შესაძლოა ჰქონდეს ჯანსაღი თვითშეფასება, ანუ ადეკვატურად აღიქვამდეს საკუთარ შესაძლებლობებს, გარეგნობას, საკუთარ პიროვნულ ღირებულებას. ამ შემთხვევაში, ადამიანი პატივს სცემს საკუთარ თავს და გადაწყვეტილებებს, თავდაჯერებულია და ჰარმონიაშია თავის შინაგან სამყაროსთან, მაშინ, როდესაც დაბალი თვითშეფასების მქონე ადამიანები თვლიან, რომ მათ არაფერი გამოუვათ, მათი აზრი მნიშვნელოვანი არ არის და მიჰყვებიან ცხოვრების დინებას, ელიან სხვა ადამიანებისგან ან მოვლენებისგან ბიძგს, დახმარებას და პასიურ როლში ამჯობინებენ ყოფნას. ასეთი ადამიანები მიდრეკილნი არიან შინაგანი კონფლიქტისკენ, რაც, თავის მხრივ, დეპრესიის ან ქრონიკული უგუნებობის მიზეზი შეიძლება გახდეს. ზოგ შემთხვევაში, ადამიანებს აქვთ ზედმეტად მაღალი თვითშეფასება, რასაც ასევე ნეგატიური შედეგები მოაქვს. ისინი შეიძლება იყვნენ აგრესიულნი, მოძალადენი, მუდმივად ჰქონდეთ იმის განცდა, რომ ფლობენ განსაკუთრებულ, სხვებზე აღმატებულ უნარებს, ფიქრობენ, რომ სხვა ყველა ცდება, თავად კი მართალნი არიან. ზომიერად მაღალი თვითშეფასების ადამიანები ხშირად საკუთარი თავის წარმოჩენით გამოირჩევიან და ირგვლივ მყოფებზე პოზიტიურ შთაბეჭდილებას ტოვებენ, რაც მათ ეფექტიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და წარმატების მიღწევაში ეხმარება. დაბალი თვითშეფასების ადამიანები შეიძლება კარგად არც იცნობდნენ საკუთარ შესაძლებლობებს ან საკუთარი დაბალი თვითშეფასების შესაბამისად მოქმედებდნენ, ამიტომ სხვებიც მათ უუნარო ან ნაკლებ კომპეტენტურ ადამიანებად აღიქვამენ.

დაბალი თვითშეფასების მიზეზი ხშირად ბავშვის აღზრდის სტილსა და ავტორიტარული მშობლების დამოკიდებულებებში უნდა ვეძიოთ. ზოგჯერ დაბალ თვითშეფასებას გარშემომყოფებთან უარყოფითი ურთიერთობები განაპირობებს. აღსანიშნავია, რომ თვითშეფასება შეცვლადია. ჯანსაღი გარემო პირობებისა და ურთიერთობების ზეგავლენით შესაძლებელია მისი ცვლილება და გაუმჯობესება.



სასწავლო პროცესში მსწავლელისა და პრაქტიკოსის მიერ თვითშეფასების პროცესი დაკავშირებულია საკუთარ კომპეტენციებზე ჯანსაღი და კრიტიკული შეფასების წარმართვასთან. კრიტიკული შეფასება არ ნიშნავს საკუთარი თავის კრიტიკას, არამედ მოიაზრებს საკუთარ პრაქტიკასთან დაკავშირებით რთული და კომპლექსური შეკითხვების დასმას. ახალგაზრდული საქმიანობის სფეროში, თვითშეფასება ნიშნავს პრაქტიკოსის ინდივიდუალურ შეფასებას საკუთარი პრაქტიკის სასწავლო გამოცდილებასთან და შედეგებთან დაკავშირებით. ახალგაზრდულ საქმიანობაში თვითშეფასება დაკავშირებულია პრაქტიკოსის მიერ საკუთარი სასწავლო საჭიროებების აღიარებასა და გააზრებასთან. თვითშეფასების პროცესი ასევე მონაწილეობრივია და მოიაზრებს ახალგაზრდული მუშაკის სურვილს და მოტივაციას, ჩაერთოს ამ პროცესში და გააანალიზოს თვითშეფასების სარგებელი, განსაკუთრებით, საკუთარი პრაქტიკის უფრო უკეთესად და ხარისხიანად განხორციელებისათვის.

### ცხრილი 1 თვითშეფასების პროცესის სარგებელი და ბარიერები[4]

| სარგებელი | ბარიერები |
|---|---|
| ავითარებს სწავლის შესაძლებლობას (მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ჩათვლით) | ზოგიერთი პრაქტიკოსი ფიქრობს, რომ არ შეუძლია საკუთარი შესაძლებლობების სწორად შეფასება სხვისი დახმარების გარეშე |
| ხელს უწყობს ახალგაზრდულ მუშაკებს დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობაში | ზოგიერთი პრაქტიკოსი უფრო სწორად მიიჩნევს საკუთარი კომპეტენციები შეაფასოს გარეშე ექსპერტმა, რომელსაც საკითხში უფრო მეტი გამოცდილება აქვს |
| საშუალებას აძლევს ახალგაზრდულ მუშაკებს, იგრძნონ მიკუთვნებულობა საკუთარი პროფესიული პრაქტიკის შეფასების პროცესში | ზოგიერთი პრაქტიკოსი დამოუკიდებლად შეფასების პროცესს შიშით უყურებს და ნერვიულობს რაიმე შეცდომით არ გააკეთოს |
| ხელს უწყობს დამოუკიდებლად სწავლისა და რეფლექსიის შესაძლებლობების განვითარებას | ზოგიერთი პრაქტიკოსი მიიჩნევს, რომ მისთვის ხარისხიანი რეფლექსია მეორე პირთან მოსაზრებების გაზიარებით მიიღწევა |
| საშუალებას აძლევს ახალგაზრდულ მუშაკს, იყოს გულწრფელი საკუთარ თავთან და გამოთქვას საკუთარი აზრი ბარიერების გარეშე | ზოგიერთი პრაქტიკოსი მიიჩნევს, რომ საკუთარ თავთან მარტო ჩაღრმავება მეტ სივრცეს ტოვებს პროცესის მიმართ არასერიოზული დამოკიდებულებების გამომჟღავნებისთვის |

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ თვითშეფასება არ ნიშნავს ხელსაწყოზე მუშაობის პროცესში მარტო ყოფნას. არსებობს სხვადასხვა მიდგომა, რომელიც ახალგაზრდულ მუშაკებს ეხმარება თვითშეფასების შესახებ საკუთარი მოსაზრებები გაუზიაროს კოლეგებს ან მცირე ჯგუფში განიხილოს ის დილემები და შეკითხვები, რომლებიც ამ პროცესში გაუჩნდა. შემდეგ თავში სწორედ ამ ტექნიკების მიმოხილვაა წარმოდგენილი.

4 ადაპტირებულია Guide to Self-Assessment (Trinity College Dublin) https://www.tcd.ie/CAPSL/assets/pdf/Academic%20Practice%20Resources/Guide%20to%20Student%20Self%20Assessment.pdf

## თვითშეფასებისა და თვითგანვითარების ტექნიკები

**ამ ნაწილში წარმოგიდგენთ თვითშეფასების პროცესის მხარდამჭერ პრაქტიკულ აქტივობებს, რომლებიც შეგიძლიათ გამოიყენოთ ხელსაწყოზე მუშაობის დროს.**

### მენტორინგი

მენტორინგი გულისხმობს ახალგაზრდულ საქმიანობაში მნიშვნელოვანი პროფესიული გამოცდილების მქონე ადამიანის მხარდაჭერას თვითშეფასების დროს წარმოჩენილი დილემების ან შეკითხვების განხილვაში. თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ ისეთ ადამიანს, რომელსაც ენდობით და ფიქრობთ, მისგან საჭირო რჩევებს მიიღებთ. საწყის ეტაპზე, რამდენიმე საათიანი შეხვედრაც კი სასარგებლო შეიძლება იყოს, რათა შესაძლებლობა გქონდეთ, პროფესიული დილემები სხვასთან ერთად განიხილოთ. თუმცა გახსოვდეთ, მენტორინგის დროს ნუ დაელოდებით შეკითხვებზე პასუხების მიღებას მეორე ადამიანისაგან. შეეცადეთ, წინასწარ მოამზადოთ ის კონკრეტული საკითხები, რომელთა განხილვაც გსურთ. მენტორინგის სესიის დანიშნულება საგანმანათლებლო გამოცდილების მიღებაა, რაც გარკვეულ საკითხებზე განსხვავებული მოსაზრების წარმოჩინებაში შეგიწყობთ ხელს.[5]





5 One 2 One Supporting Learning Face to Face (YouthPass) https://www.youthpass.eu/downloads/13-62-276/Publication_121_Final.pdf



## ინტერვიუ თვითშეფასების პროცესის შესახებ

ხანდახან უბრალო არაფორმალურმა საუბარმა შესაძლოა ბევრ საკითხს ნათელი მოჰფინოს. თუ ხელსაწყოს რამდენიმე ახალგაზრდული მუშაკი პარალელურად ავსებს, შეგიძლიათ ინტერვიუს მეთოდი გამოიყენოთ სამუშაო პროცესის განხილვისთვის. ამ მეთოდის მიხედვით, სამი ადამიანი ერთ ინტერვიუს აორგანიზებს, რომელშიც თითოეულს კონკრეტული როლი აქვს. ერთი არის რესპონდენტი, მეორე ინტერვიუერი, მესამე კი ამზადებს ანგარიშს. ინტერვიუს დროს, ინტერვიუერი რესპონდენტს უსვამს შეკითხვებს საკუთარი სასწავლო გამოცდილების შესახებ. შესაბამისად, რესპონდენტს საშუალება აქვს ისაუბროს იმ თემებსა თუ გამოწვევებზე, რომლებიც მისი ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკის ნაწილია. ინტერვიუს ბოლოს, მონაწილე, რომელიც ანგარიშს ამზადებდა, რესპონდენტს აცნობს მისეულ ხედვას განხილული საკითხების შესახებ. აღნიშნული მეთოდი შეიძლება სამ რაუნდად განხორციელდეს, სადაც ყოველ შემდეგ რაუნდში მონაწილეები როლებს გაცვლიან.[6]

## თანასწორთა მხარდაჭერის ჯგუფი

თანასწორთა მხარდაჭერის ჯგუფის მეთოდის გამოყენება სასარგებლო იქნება თუ იცით, რომ ხელსაწყოს შევსების პროცესში პარალელურად რამდენიმე ახალგაზრდული მუშაკი ხართ ჩართული. ამ შემთხვევაში შეგიძლიათ, ორგანიზება გაუწიოთ მცირე ჯგუფს (სასურველია, სქესი ნიშნით დაბალანსებული მონაწილეები, მაქსიმუმ 10 ადამიანი,). სურვილისამებრ, შეგიძლიათ თითოეულ შეხვედრაზე განიხილოთ ხელსაწყოში აღწერილი სპეციფიკური კომპეტენცია და ისაუბროთ ამ კომპეტენციის პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებით. ასევე შეგიძლიათ შეხვედრა დაუთმოთ ზოგადად ყველა კომპეტენციას, მაგრამ შეარჩიოთ კონკრეტული თემა მაგალითად: დილემები, ეთიკური საკითხები ან პროფესიული განვითარების შესაძლებლობა. მსგავსი შეხვედრის ორგანიზებისას გაითვალისწინეთ, რომ შეარჩიოთ ფასილიტატორი, რომელიც შეხვედრას წარმართავს. ასევე, ყურადღება მიაქციეთ, რომ ჯგუფში უსაფრთხო და დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემო იყოს, რათა ყველა მონაწილეს შეეძლოს საკუთარი მოსაზრების თავისუფლად დაფიქსირება. მსგავსი შეხვედრების ორგანიზება შესაძლებელია ისეთ არაფორმალურ გარემოში, როგორცაა კაფე, სკვერი ან ახალგაზრდული ცენტრი.



6 ადაპტირებულია Tools and Tips for self-assessement and describing competences (YouthPass) https://www.youthpass.eu/downloads/13-62-389/ValuedByYouValuedByOthers-chap4.pdf

# ახალგაზრდული საქმიანობის მიმოხილვა

## რა არის ახალგაზრდული საქმიანობა?

„ახალგაზრდული საქმიანობის მთავარი მიზანია, შევუქმნათ ახალგაზრდებს შესაძლებლობები, რათა შეძლონ საკუთარი მომავლის გამოძერწვა“ - ახალგაზრდული საქმიანობის მიზნის ასეთ შთამაგონებელ განმარტებას გვთავაზობს ევროპის საბჭო თავის ერთ-ერთ პუბლიკაციაში.[1]

მართლაც, ახალგაზრდული საქმიანობის არსი სწორედ ახალგაზრდების ჰარმონიული განვითარების, თვითრეალიზების, მათი წარმატებული და ბედნიერი მომავლის ხელშეწყობაში მდგომარეობს. ახალგაზრდული საქმიანობა, ეს არის ახალგაზრდების გაძლიერებისკენ მიმართული მრავალფეროვანი ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდებისათვის განათლების, ცნობიერების ამაღლების, განვითარების, მონაწილეობის, თვითრეალიზების შესაძლებლობებზე წვდომის უზრუნველყოფას, მათი ფსიქო-ემოციური კეთილდღეობის, ჯანსაღი ჩვევების გამომუშავებისა და წარმატებისთვის აუცილებელი უნარების შეძენის ხელშეწყობას.

ახალგაზრდული საქმიანობა, როგორც წესი, არაფორმალურ და ინფორმალურ (არაოფიციალურ) სასწავლო პროცესს ეყრდნობა. იგი შეიძლება მოიცავდეს განსხვავებული მიზნის მატარებელ, სხვადასხვა ტიპისა და ხასიათის ღონისძიებებს.

იმისათვის, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, რა სახით უწყობს ხელს ახალგაზრდული საქმიანობა ახალგაზრდების წარმატებული მომავლის ფორმირებას, შეგვიძლია არსებული კვლევებისა და ახალგაზრდული საქმიანობის მრავალწლიან პრაქტიკაზე დაყრდნობით შევაჯამოთ ის დადებითი შედეგები, რომლებიც ახალგაზრდულ საქმიანობას მოაქვს ახალი თაობისთვის:



სხვადასხვა კომპეტენციის განვითარება



კავშირებისა და სოციალური კაპიტალის გაძლიერება



კონკრეტული ქცევების შეცვლა (მაგალითად, რისკ-ქცევების)



პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება

1 The Council of Europe Youth Work Portfolio, 2019

გარდა ჩამოთვლილი ინდივიდუალური გავლენისა, ახალგაზრდული საქმიანობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ისეთ სოციალურ პროცესებზე, როგორებიცაა ახალგაზრდებს შორის კავშირების დამყარება, ახალგაზრდების ჩართულობა, თაობათა ურთიერთობა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა. იგი გაზიარებულ სახალისო და შემეცნებით გამოცდილებას წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვანი სოციალური ღირებულების მატარებელი პროცესია.

ევროპის ახალგაზრდულ სტრატეგიაზე დაყრდნობით შექმნილი ცხრილი გვაძლევს შესაძლებლობას, უფრო დეტალურად გავეცნოთ ახალგაზრდული საქმიანობის დადებით ეფექტებს ახალგაზრდების ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე.

### ცხრილი 2[2]

| | |
|---|---|
| **განათლება და წვრთნა:**<br><br>• აუმჯობესებს არაკოგნიტურ უნარებს და უზრუნველყოფს ახალგაზრდების მიერ უკეთესი აკადემიური შედეგების მიღწევას;<br><br>• უზრუნველყოფს ალტერნატიულ გზებს იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებიც გამოეთიშნენ სწავლას;<br><br>• უზრუნველყოფს ახალგაზრდებს რეკომენდაციებით განათლებისა და კარიერის საკითხებში.<br><br>• უზრუნველყოფს ახალგაზრდებს განვითარების უკეთესი შესაძლებლობებით. | **დასაქმება და მეწარმეობა:**<br><br>• ავითარებს შრომის ბაზარზე მოთხოვნილ გამჭოლ უნარებს;<br><br>• ქმნის შეძენილი უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას;<br><br>• ხელს უწყობს ახალგაზრდების პროფესიულ ორიენტაციას;<br><br>• შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს სამუშაო ბაზარზე სამუშაო ადგილებისა და სამსახურის მაძიებელი ახალგაზრდების თანხვედრაში. |
| **ჯანმრთელობა:**<br><br>• ზრდის წვდომას ინფორმაციასა და სანდო რეკომენდაციებზე;<br><br>• ხელს უწყობს დამოკიდებულებებისა და ქცევების ცვლილებას;<br><br>• ზრდის თვითშემეცნების ხარისხს;<br><br>• ხელს უწყობს ჯანმრთელობის გაუმჯობესებას. | **მონაწილეობა:**<br><br>• ზრდის დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობისა და მონაწილეობის ხარისხს;<br><br>• ზრდის ახალგაზრდების ცნობიერებას;<br><br>• ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას;<br><br>• აძლიერებს ახალგაზრდების შესაძლებლობას;<br><br>• უზრუნველყოფს ახალგაზრდებს თვითგამოხატვის შესაძლებლობებით. |

2 (European Commission, 2009)
(European Union, 2014)

### მოხალისეობა:

- ახალგაზრდული საქმიანობა ხშირად მოხალისეობრივად ხორციელდება;
- ხელს უწყობს სოლიდარობას;
- ადრეულ ასაკში ახალგაზრდულ საქმიანობაში ჩართულობა დადებით კავშირშია ცხოვრების მომდევნო ეტაპებზე მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვასთან.

### სოციალური ინკლუზია:

- უზრუნველყოფს ახალგაზრდების სოციალიზაციას უსაფრთხო გარემოში;
- ახდენს ახალგაზრდების გარიყვის პრევენციას;
- უზრუნველყოფს კონკრეტულ რისკ ჯგუფებთან მუშაობას;
- ამცირებს სპეციფიკური ჯგუფების ნეგატიურ აღქმას ფართო საზოგადოების მიერ.

### ახალგაზრდობა და მსოფლიო:

- ავითარებს მნიშნელოვან უნარებსა და დამოკიდებულებებს, როგორებიცაა საკუთარ თავზე დაყრდნობის, გლობალური ცნობიერების, კულტურათაშორისი კომუნიკაციის უნარები;
- ამაღლებს ახალგაზრდების ცნობიერებას ადამიანის უფლებების, განვითარების, გლობალური საკითხების კუთხით;
- უზრუნველყოფს ახალგაზრდების განათლებას მდგრადი განვითარებისა და გენდერული თანასწორობის თემაზე.

### კულტურა:

- ზრდის კულტურულ მონაწილეობას;
- ქმნის თვითგამოხატვისა და შემოქმედებითობის შესაძლებლობებს;
- ახდენს კულტურათაშორისი ურთიერთგაგების, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის პოპულარიზაციას;
- ახდენს მნიშნელოვან გავლენას პიროვნული განვითარების კუთხით.

ახალგაზრდული მუშაკი კი არის პროფესიონალი, რომელიც ახორციელებს ახალგაზრდულ საქმიანობას.

## ახალგაზრდული საქმიანობის როლი და მახასიათებლები

ახალგაზრდული საქმიანობა შეიძლება წარმოვადგინოთ, როგორც მრავალფეროვანი და ინტერდისციპლინალური პრაქტიკა, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა ტიპის გარემოში, როგორც სტრუქტურირებული ასევე ნახევრად სტრუქტურირებული პროგრამის შესაბამისად. ახალგაზრდული საქმიანობა ხორციელდება ახალგაზრდების მრავალფეროვანი ჯგუფებისათვის და დაკავშირებულია ახალგაზრდებისათვის განკუთვნილ მრავალ სოციალურ დისციპლინასთან. აღნიშნული გამჭოლობა ახალგაზრდული საქმიანობის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. ისინი იზრდებიან და ცხოვრობენ განსხვავებულ გარემოში. ახალგაზრდულ საქმიანობას აქვს შესაძლებლობა, განსაზღვრული საქმიანობით ხელი შეუწყოს სხვადასხვა მოწყვლადი ახალგაზრდების ჯგუფის საჭიროებების იდენტიფიცირებასა და უზრუნველყოფას. ახალგაზრდული საქმიანობის განსხვავებული მეთოდოლოგია და მიდგომები ახალგაზრდებს მაქსიმალურად უწყობს ხელს, მიაღწიონ წინასწარ დასახულ მიზნებს.[3]

დღესდღეობით, ახალგაზრდული საქმიანობა გარდაიქმნა უფრო მეტად სტრუქტურირებულ საქმიანობად, რომელიც არ არის სავალდებულო და რომელიც ახალგაზრდებს სთავაზობს წინასწარ დასახული მიზნების მიღწევას წინასწარ დაგეგმილ აქტივობებში მონაწილეობის გზით. საერთო ჯამში აღნიშნული ხელს უწყობს ახალგაზრდების პოტენციალის წარმოჩენასა და რეალიზაციას. ამავე დროს, ახალგაზრდული საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს ისეთ ღირებულებებს, რომლითაც ახალგაზრდებს შეეძლებათ ჯანსაღ გარემოში ცხოვრება, მათი ჩართულობა ახალგაზრდული საქმიანობის პროცესში იქნება სახალისო და მიზანზე ორიენტირებული.[4]

ახალგაზრდული საქმიანობის სერვისი პროდუქტიულია მაშინ, როდესაც იგი ეფუძნება შემდეგ მიდგომებს:[5]

- ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელების პროცესში გათვალისწინებულია ახალგაზრდების, მათ შორის გოგოებისა და ბიჭების განსხვავებული საჭიროებები და მდგრადობა;
- ახალგაზრდული საქმიანობის პროგრამა ეფექტიანადაა დაგეგმილი და მოიცავს შეფასების ეფექტიან სისტემას;
- ახალგაზრდული საქმიანობა არ უსვამს ხაზს „დამარცხებას“ და ორიენტირებულია წაგებულსა და მოგებულს შორის დიალოგის წარმართვაზე;
- ახალგაზრდული საქმიანობა ორიენტირებულია თემთან და ორგანიზაციებთან მოხალისეობრივ თანამშრომლობაზე;
- ახალგაზრდული საქმიანობა ცდილობს დაგეგმილი საქმიანობა მაქსიმალურად დააშენოს უკვე არსებულ მწირ რესურსებს.



3 Thole, 2000
4 Dfes, 2003
5 Dfes, 2005

ახალგაზრდული საქმიანობის სპეციფიკური მახასიათებლები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოტივაციის არსებობას ახალგაზრდებსა და ახალგაზრდულ მუშაკს შორის. ახალგაზრდული საქმიანობის 7 ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია:[6]

- ახალგაზრდების მოხალისეობრივი მონაწილეობა;
- ახალგაზრდულ საქმიანობაში ჩართულ ახალგაზრდასა და ახალგაზრდულ მუშაკს შორის მეტი ძალაუფლება ახალგაზრდისკენაა მიმართული;
- ახალგაზრდული საქმიანობის შედეგების მოლოდინები ობიექტურადაა გააზრებული;
- ახალგაზრდულ საქმიანობაში ჩართული ახალგაზრდები აღიარებულები არიან, როგორც ახალგაზრდები და გათვალისწინებულია მოწყვლადი გარემოს როლი;
- მაქსიმალურადაა ორიენტირებული ახალგაზრდას ინტერესებისა და საქმიანობის ინტეგრირებაზე ახალგაზრდული საქმიანობის აქტივობებში;
- ახალგაზრდული საქმიანობის პროცესში ახალგაზრდებს კავშირი აქვთ თანატოლებთან სხვადასხვა გარემოში.



ახალგაზრდული საქმიანობის დაგეგმვის პროცესში, მნიშვნელოვანია ახალგაზრდული მუშაკი აანალიზებდეს თავისი საქმიანობის მიდგომებს, ახალგაზრდების დაინტერესებისა და ჩართულობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ეს მიდგომებია:[7]

- ახალგაზრდული საქმიანობის აქტივობები დაგეგმილია ახალგაზრდების ასაკის გათვალისწინებით;
- ახალგაზრდას აქვს უფლება იცოდეს, რომ ახალგაზრდული საქმიანობა მოხალისეობრივია და მას ნებისმიერ დროს შეუძლია პროცესის მიტოვება სურვილის შემთხვევაში;
- ახალგაზრდამ უნდა გააცნობიეროს თავისი როლი ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელების პროცესში, აქტივობებში ჩართულობა და გარკვეული დავალების შესრულება ამ პროცესის ნაწილად უნდა აღიქვას;
- ახალგაზრდული საქმიანობის პროცესში გამოყენებული უნდა იყოს მეგობრული და გულწრფელი მიდგომები დამოკიდებულებების ჩათვლით;
- ახალგაზრდულ მუშაკს ახალგაზრდებთან მუშაობის ისეთი გრძელვადიანი მიზნები უნდა ჰქონდეს, როგორიცაა: ბავშვთა კეთილდღეობის ხარისხის გაუმჯობესება;

6 Davies, 2005
7 Smith 2002ა



ახალგაზრდული საქმიანობის წარმატებული განხორციელების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია პროექტი „ინკლუზიური ცირკი“, რომელიც ბელგიაში 2014 წელს განხორციელდა. პროექტის მიზანი იყო ხელოვნების საშუალებით დაემეგობრებინა ბელგიელი და ბელგიაში მცხოვრები აფრიკელი ლტოლვილი ბავშვები. პროექტის შედეგად ახალგაზრდულმა მუშაკებმა მოახერხეს ცირკის იდეის გახანგრძლივება და სკოლების ბაზაზე დაარსება.[8]

ახალგაზრდული საქმიანობა არ გულისხმობს მხოლოდ მიკრო დონეზე მუშაობას. ის ასევე შეეხება ახალგაზრდების ადგილსა და უფლებრივ მდგომარეობას საზოგადოებაში. ახალგაზრდული მუშაკები მუშაობენ პოლიტიკის დონეზე ცვლილებების განსახორციელებლად, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება ბავშვებსა და ახალგაზრდებს, რომლებიც ჩაგრულ გარემოს წარმოადგენენ.

## სხვადასხვა ტიპის ახალგაზრდული საქმიანობა

ხელსაწყოში გარდა ძირითადი ახალგაზრდული საქმიანობისა, ასევე აღწერილია ახალგაზრდული საქმიანობის მიმართულებები, რომლებიც სპეციფიკური კომპეტენციების ფლობას საჭიროებს. ეს მიმართულებებია: ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა, მობილური ახალგაზრდული საქმიანობა, სასკოლო და საერთაშორისო ახალგაზრდული საქმიანობა.



ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა გულისხმობს ციფრული მედიისა და ტექნოლოგიის პროაქტიულად გამოყენებას ან მის გამოყენებას ახალგაზრდულ საქმიანობაში. ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა არ არის ახალგაზრდული საქმიანობის მეთოდი - ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერ ახალგაზრდული საქმიანობის აქტივობაში (რეალურ სივრცეში ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელებისას, ახალგაზრდების ინფორმირებისა და კონსულტაციის ნაწილში, ახალგაზრდულ კლუბებში, ცალკეული ახალგაზრდული საქმიანობის აქტივობების განხორციელებისას და ა.შ.). ციფრულ ახალგაზრდულ საქმიანობას იგივე მიზნები აქვს, რაც, ზოგადად, ახალგაზრდულ საქმიანობას. ციფრული მედიისა და ტექნოლოგიის გამოყენება ახალგაზრდულ საქმიანობაში ყოველთვის უნდა ემსახურებოდეს აღნიშნული მიზნების მიღწევას. ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა შეიძლება

8 Youth Work Practices, EU, 2012

მოხდეს როგორც პირისპირ სიტუაციებში, ასევე ონლაინ ან ჰიბრიდულ გარემოში. ციფრული მედია და ტექნოლოგია შეიძლება იყოს ხელსაწყო, საქმიანობა ან შინაარსი ახალგაზრდულ საქმიანობაში. ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა ემყარება იგივე ეთიკას, ღირებულებებსა და პრინციპებს, რასაც ახალგაზრდული საქმიანობა.[9]

მობილური ახალგაზრდული საქმიანობა ახალგაზრდული საქმიანობის ფორმაა, როდესაც ახალგაზრდული საქმიანობის აქტივობები ხორციელდება ისეთ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე (მაგალითად, სოფლად), სადაც ახალგაზრდული საქმიანობის აქტივოებები და შესაბამისი ინფრასტუქტურა არ არსებობს. მობილური ახალგაზრდული საქმიანობა დაფუძნებულია ადგილობრივი ახალგაზრდების ინდივიდუალურ საჭიროებებზე და მისი მეთოდოლოგია განსხვავებულია ადგილობრივი რეალობის გათვალისწინებით.[10]



სასკოლო ახალგაზრდული საქმიანობა არის არაფორმალური განათლების სწავლება ფორმალურ სივრცეში. სკოლის სივრცეში ახალგაზრდული მუშაკის არსებობა მნიშვნელოვანია, რადგან მასწავლებლისგან განსხვავებით, ახალგაზრდული მუშაკი სკოლის მოსწავლეებს ხელს უწყობს, გაიგონ მეტი საკუთარ თავზე, სხვებსა და საზოგადოებაზე არაფორმალური განათლების გზით. ასევე, ახალგაზრდული მუშაკი უზრუნველყოფს მოსწავლეების ინტერესებსა და მათ საჭიროებებზე მორგებული არაფორმალური განათლების აქტივობების ორგანიზებას, რაც აერთიანებს გართობას, გამოწვევებსა და სწავლებას. ეს პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში აისახება ახალგაზრდების ქცევასა და მათ კეთილდღეობაზე.

საერთაშორისო ახალგაზრდული საქმიანობა მოიცავს ახალგაზრდული საქმიანობის დაგეგმილ აქტივობებს, რომელიც საერთაშორისო კონტექსტში ხორციელდება. საერთაშორისო ახალგაზრდული საქმიანობის აქტივობები ხელს უწყობს კულტურათაშორის და საერთაშორიო დიალოგს ახალგაზრდებს შორის, რომელიც დაფუძნებულია ტოლერანტობაზე, მრავალფეროვნებასა და პატივისცემაზე.[11]

ძირითადი, ციფრული, საერთაშორისო, მობილური, სასკოლო და ყველა სხვა ახალგაზრდული საქმიანობის ტიპი ეფუძნება ინკლუზიურ მიდგომებს. ინკლუზიური ახალგაზრდული საქმიანობისთვის

9 ციფრული ახალგაზრდული საქმიანობის ბლოგი https://digitalyouthwork.ge/news.php?id=1
10 Mobile Youth Work: Why? For Whom? https://issuu.com/nerijusmiginis/docs/mobile-youth-work_lt_practice_
11 YOCOMO - What is an international youth work? https://www.youtube.com/watch?v=PJrNrkV2mZA

გამოწვევაა ნეგატიური აღქმები და სტერეოტიპები. შესაბამისად, ის საფუძველს ქმნის, ახალგაზრდებმა გაიაზრონ თანასწორი და მრავალფეროვანი საზოგადოების პრინციპები მცირე ასაკიდანვე. ინკლუზიური მიდგომა აძლიერებს ახალგაზრდული ჯგუფების შედეგებს, რადგან ის ხელს უწყობს ჯგუფის წევრების გამოცდილების მრავალფეროვნებას და შესაძლებლობას აძლევს იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ხშირად გარიყულები არიან. ინკლუზიური მიდგომა სასარგებლოა როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ასევე არმქონე ახალგაზრდებისათვის, რადგან ის საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ და დავაფასოთ მრავალფეროვნება ჯგუფსა და საზოგადოებაში, გავაძლიეროთ ინდივიდუალურობის შეგრძნება და, რა თქმა უნდა, გავძლიერდეთ როგორც ჯგუფი საკუთარი მიზნების მისაღწევად.

## ახალგაზრდული საქმიანობის აღიარების პოლიტიკა საქართველოში და ხელსაწყოს როლი

ცხადია, საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება მჭიდროდ უკავშირდება ახალგაზრდული საქმიანობის ხანგრძლივი ტრადიციის მქონე ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას, თუმცა, როგორც ყველა დანარჩენ სფეროში, ახალგაზრდულ საქმიანობაშიც დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებას.

ახალგაზრდობის საჭიროებების ამსახველ კვლევებსა და ახალგაზრდების კომპეტენციების განვითარებასთან ასოცირებულ ეროვნულ და საერთაშორისო დოკუმენტებზე დაყრდნობით, საქართველოში ახალგაზრდული სფეროს აქტორებმა შეადგინეს კომპეტენციების ჩარჩო-დოკუმენტი. იგი მიზნად ისახავს იმ საკვანძო კომპეტენციების განსაზღვრას, რომლებიც საქართველოში ახალგაზრდებს ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად უნდა განუვითარდეთ. პარალელურად, საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია აქტიურად მუშაობს ახალგაზრდობის სააგენტოსთან ერთად, რათა მოხდეს ახალგაზრდული საქმიანობის, როგორც პროფესიის აღიარება. მაგალითად 2020 წელს პირველად განხორციელდა ახალგაზრდულ მუშაკთა პროფესიული გადამზადების პროგრამა. პროგრამის მიზანია ახალგაზრდებთან არაფორმალური განათლების მიმწოდებელი პრაქტიკოსების, ახალგაზრდული მუშაკების გადამზადება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება და განვითარებისათვის მრავალფეროვანი შესაძლებლობების შექმნა. პროგრამა ხელს უწყობს იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შეძენა-განვითარებას, რომელიც შეესაბამება ევროპულ სტანდარტს და ხელს უწყობს ახალგაზრდებთან ეფექტიან მუშაობას. ამ და სხვა მსგავსი აქტივობის განხორციელებისას თვითშეფასებისა და თვითგანვითარების ხელსაწყო შესაძლოა გამოიყენონ როგორც დამხმარე ინსტრუმენტი, რომელიც ახალგაზრდულ მუშაკებს საკუთარ კომპეტენციებსა და პროფესიულ პრაქტიკაზე თვითჩაღრმავების შესაძლებლობას მისცემს.



## კომპეტენციები, რომელსაც ახალგაზრდული საქმიანობა ავითარებს

2009 წელს, ევროპის საბჭოს ახალგაზრდული დეპარტამენტის ინიციატივით დაიწყო ახალგაზრდული მუშაკებისა და ლიდერების ხელსაწყოს - იგივე პროფესიული თვითშეფასების მექანიზმის შექმნა, თავად ახალგაზრდებთან კონსულტაციის საფუძველზე. 2014 წელს გამოიცა ხელსაწყოს განახლებული ვერსია. ევროპის საბჭოს ახალგაზრდული საქმიანობის ხელსაწყო ახალგაზრდულ საქმიანობას წარმოაჩენს, როგორც პროფესიას, რომელიც შემდეგ პრინციპებს ეფუძნება:[12]



- შესაძლებლობის მიცემა - ახალგაზრდას აქვს შესაძლებლობა აკეთოს ის, რისი სურვილიც აქვს ინდივიდუალურად ან ჯგუფთან ერთად;
- ემანსიპირება - ახალგაზრდებს აქვთ შანსი, იყვნენ დამოუკიდებლები და იცხოვრონ დამოუკიდებლად ღირსეულ პირობებში;
- სახალისო - ახალგაზრდული საქმიანობის პროცესში ჩართული ახალგაზრდები სიამოვნებით ასრულებენ მიცემულ დავალებებს;
- მხარდამჭერი - ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა, შეცვალონ ან გააუმჯობესონ თავიანთ თემში არსებული პრობლემური მდგომარეობა;
- ჩართულობა - ახალგაზრდები ერთვებიან ცვლილებების განხორციელების პროცესში;
- არაფორმალური განათლება - ახალგაზრდებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ ცოდნა, გაიუმჯობესონ უნარები, შეცვალონ ღირებულებები და დამოკიდებულებები უკეთესობისაკენ.



ახალგაზრდულ მუშაკთა თვითშეფასებისა და თვითგანვითარების ხელსაწყოზე მუშაობის დროს, ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტად მივიჩნიეთ ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ მუშაკთა ხელსაწყო, როგორც უკვე გამოცდილი თვითშეფასების ხელსაწყო ახალგაზრდული საქმიანობის სფეროში საერთაშორისო დონეზე. თუმცა ცვლილებები შევიტანეთ კომპეტენციების ფორმულირებაში, რიგ შემთხვევაში კი დავამატეთ გარკვეული კომპეტენციები საქართველოს რეალობისა და ადგილობივი კონტექსტის გათვალისწინებით.

12 ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ მუშაკთა ხელსაწყო ქართულ ენაზე https://b47d625d-a6a2-4bca-a4b4-c5836942eae7.filesusr.com/ugd/12b29c_d1c0b57438b14e4f878678900b4925d3.pdf

ახალგაზრდული საქმიანობა ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებას და კეთილდღეობას, საზოგადოებაში მათ აქტიურ მონაწილეობასა და ინტეგრაციას. შესაბამისად, ახალგაზრდული საქმიანობა და ახალგაზრდული მუშაკი პირდაპირ ან ირიბად ხელს უწყობენ ახალგაზრდებში შემდეგი საკვანძო კომპეტენციების განვითარებას:

- მოქალაქეობრივი კომპეტენცია - განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც დაეხმარება მას სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად მოქმედებაში, ასევე კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის და თავისუფლებების აღიარებასა და დაცვაში;

- გარემოსდაცვითი კომპეტენცია - განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც განაპირობებს მის მიერ ბუნებრივი გარემოს დაცვისა და შენარჩუნებისათვის აუცილებელი ქმედებების განხორციელებას;

- ანალიტიკური, ტექნოლოგიური, ინფორმაციული და სამეცნიერო კომპეტენცია - განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც დაეხმარება მას ინფორმაციის მოპოვებასა და ანალიზში, ასევე ტექნოლოგიური და სამეცნიერო მიღწევების ეფექტიან გამოყენებაში პირადი, პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრების საკეთილდღეოდ;

- სამეწარმეო და ინიციატივის კომპეტენცია - განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც უზრუნველყოფს მის მიერ საკუთარი ცხოვრების დამოუკიდებლად წარმართვას, იდეების გენერირებასა და განხორციელებას, პრობლემების ანალიზსა და მათ ეფექტიან გადაწყვეტას როგორც საქმიან, ასევე პირად სივრცეში და დაეხმაროს მას, რათა იდეა აქციოს საქმედ;

- შემოქმედებითობისა და კრიტიკული აზროვნების კომპეტენცია - განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც დაეხმარება უკვე არსებული გამოცდილებისა და მიღწევების გამოყენებაში ახალი მატერიალური, ინტელექტუალური და სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;

- დამოუკიდებლად სწავლის კომპეტენცია - განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რათა მან შეძლოს საკუთარი სასწავლო საჭიროებების განსაზღვრა, საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვა და წარმართვა, საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში;

- ურთიერთობის კომპეტენცია - განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია ინდივიდებსა და ჯგუფებთან თანამშრომლობითი ურთიერთობების დასამყარებლად როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ;

- კულტურული გამოხატვის და კულტურათშორისი ურთიერთობის კომპეტენცია - განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც მას დაეხმარება კულტურულ გამოხატვაში, კულტურული მრავალფეროვნების პოზიტიურ აღქმაში, დაფასებაში, დაცვასა და განვითარებაში;

- ჯანმრთელობის დაცვისა და ჯანსაღი ცხოვრების კომპეტენცია - განუვითაროს ახალგაზრდას კომპეტენცია, რომელიც მას საშუალებას მისცემს იზრუნოს საკუთარ ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

# ახალგაზრდულ მუშაკთა საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო

## რა არის კომპეტენცია?

კომპეტენცია წარმოადგენს თვისებების, შესაძლებლობებისა და შეხედულებების დინამიკურ კომბინაციას. ეს არის რაღაცის წარმატებით ან ეფექტიანად გაკეთების შესაძლებლობა. ხშირად მას აკავშირებენ უნარებთან, თუმცა კომპეტენცია ორი მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტით განსხვავდება უნარისგან და ქმნის უფრო მეტ კომპეტენციას.[1] ის უფრო მეტია, ვიდრე უნარი ან ცოდნა. კომპეტენცია გულისხმობს კომპლექსურ მოთხოვნებთან გამკლავების შესაძლებლობას, როგორც ფსიქოლოგიური და ემოციური, ასევე სოციალური რესურსების მობილიზებითა და გამოყენებით.
ახალგაზრდულ საქმიანობაში ტერმინი "კომპეტენციები" აღნიშნავს ღირებულებების, დამოკიდებულებების, უნარებისა და ცოდნის სისტემას.

კომპეტენციები დინამიურია და მისი ყველა ელემენტი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებულია. ისინი შესაძლებელია ასე გამოიყურებოდეს:




---

1 ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ მუშაკთა ხელსაწყო ქართულ ენაზე https://bit.ly/3kKmcPL

## ცოდნა

შედგება ცნებების, ფაქტებისა და ციფრებისგან, იდეებისა და თეორიებისგან. ეს გულისხმობს იმ თემებისა და საკითხების ცოდნას, რაც საჭიროა საქმის შესასრულებლად. ეს არის კომპეტენციის კოგნიტური მიმართულება, რომელიც შეგვიძლია დავაკავშიროთ ადამიანის თავთან.

## უნარები

პროცესების განხორციელებისა და არსებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი შედეგების მისაღწევად. უნარები ძირითადად გულისხმობს, რისი გაკეთება შეგვიძლია, გვსურს ან გვჭირდება ახალგაზრდული საქმიანობის განსახორციელებლად. ეს არის კომპეტენციების პრაქტიკული მიმართულება, რომელიც ძირითადად ასოცირდება კეთებასთან.

## დამოკიდებულებები და ღირებულებები

ეს აღწერს განწყობას და აზროვნებას, როგორ მოვიქცეთ, ვიმოქმედოთ თუ მოვახდინოთ რეაგირება სხვადასხვა პირებსა თუ სიტუაციებზე. ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელებისას გვჭირდება დამოკიდებულებებისა და ღირებულებების გააზრება, გათავისება და მათი დაცვა. კომპეტენციების ეს მიმართულება ძირითადად ასოცირდება გრძნობებთან, ემოციებთან და გულთან.

კომპეტენციები ვითარდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ფორმალური, არაფორმალური თუ ინფორმალური სწავლების პროცესში სხვადასხვა გარემოში, მათ შორის, ოჯახში, სკოლაში, სამსახურში, სამეზობლოსა და სხვა თემებში.

## დავიმახსოვროთ, რომ ყველა კომპეტენცია თანაბრად მნიშვნელოვანია



ახალგაზრდული საქმიანობა ახალგაზრდებს უქმნის შესაძლებლობას, განივითარონ სხვადასხვა კომპეტენცია, რაც ხელს უწყობს მათ პიროვნულ და პროფესიულ ზრდას. ასევე, აღნიშნული კომპეტენციები ახალგაზრდებს აძლევს შესაძლებლობას, კომფორტულად იგრძნონ თავი თანამედროვე საზოგადოებაში და უმარტივებს მათ ინტეგრაციისა და თვითრეალიზების პროცესს.

## ახალგაზრდული მუშაკების საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო

(ძირითადი და სპეციფიკური კომპეტენციები)

ფუნქციები შეგვიძლია ვუწოდოთ, რასაც ახალგაზრდული საქმიანობა და ახალგაზრდული მუშაკი ახორციელებს ან აკეთებს ყველაზე ხშირად. ამიტომ უმჯობესია, უკეთ იყოს გაცნობიერებული, რისი კეთება უნდა შეეძლოთ ახალგაზრდულ მუშაკებს, ანუ რა კომპეტენციები უნდა ჰქონდეთ მათ, რომ ხარისხიანად განახორციელონ ახალგაზრდული საქმიანობა. ფუნქციებისა და კომპეტენციების ერთობლიობა ქმნის ახალგაზრდული მუშაკებისთვის კომპეტენციების ჩარჩოს.[2]

**ძირითადი კომპეტენციები,** არის კომპეტენციები, რომლებიც მნიშვნელოვანია ყველა ახალგაზრდული მუშაკისთვის. ერთი შეხედვით, შესაძლოა ეს კომპლექსური მოგვეჩვენოს, მაგრამ მნიშვნელვანია ყველა ახალგაზრდულ მუშაკს (დამწყებსაც და გამოცდილსაც) გააზრებული ჰქონდეს, რომ ახალგაზრდებთან მუშაობის პროცესი არის მნიშვნელოვანი და ორიენტირებული მათ კეთილდღეობაზე. ამის პრაქტიკაში განხორციელება რთულია და ამიტომ მაქსიმალურად უნდა ვიზრუნოთახალგაზრდული მუშაკების მუდმივ გადამზადება-მომზადების პროცესზე.

ახალგაზრდული მუშაკი მუდმივად უნდა იყოს ორიენტირებული განვითარებაზე, კომპეტენციების გაუმჯობესებასა და სიახლეების შეცნობაზე, რომ ახალგაზრდებისთვის მისი მუშაობა მამოტივირებელი და მიმზიდველი იყოს.

**სპეციფიკური კომპეტენციები,** არის კომპეტენციები, რომლებიც უფრო უნიკალურს ხდის ახალგაზრდული მუშაკის საქმიანობას და ორიენტირებულია ახალგაზრდული საქმიანობის რომელიმე კონკრეტულ ტიპზე, მიმართულებაზე.

მაგალითად: ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა, მობილური ახალგაზრდული საქმიანობა, სასკოლო ახალგაზრდული საქმიაობა, საერთაშორისო ახალგაზრდული საქმიანობა და სხვ. ყველა ამ მიმართულებით მომუშავე ახალგაზრდულ მუშაკს უნდა ჰქონდეს, პირველ რიგში, ძირითადი კომპეტენციები და შემდეგ დამატებითად უნდა განივითაროს სპეციფიკური კომპეტენციები ახალგაზრდული საქმიანობის ტიპების მიხედვით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ძირითადი და სპეციფიკური კომპეტენციები განსხვავდება ერთმანეთისგან და სპეციფიკურში მოცემულია მხოლოდ ის დამატებითი კომპეტენციები, რასაც არ ფარავს ძირითადი კომპეტენციები. ამიტომ ძირითადი კომპეტენციების განვითარება მნიშვნელოვანია ყველა ახალგაზრდული მუშაკისთვის, რათა მათი მუშაობის პროცესი იყოს უსაფრთხო, საინტერესო, ინკლუზიური და შედეგზე ორიენტირებული.

2 ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ მუშაკთა ხელსაწყო ქართულ ენაზე https://bit.ly/3kKmcPL

# ძირითადი კომპეტენციები და ფუნქციები

ძირითადი კომპეტენციები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის კომპეტენციები, რომლებიც მნიშვნელოვანია ყველა ახალგაზრდული მუშაკისთვის. იმ შემთხვევაში, თუ ახალგაზრდული მუშაკი მოისურვებს იყოს ციფრული, მობილური ან სხვა ტიპის ახალგაზრდული მუშაკი - მნიშვნელოვანია, პირველ ეტაპზე განივითაროს ძირითადი კომპეტენციები და მხოლოდ შემდეგ ციფრული, მობილური ან სხვა ტიპის კომპეტენცია.

**ფუნქცია 1: ახალგაზრდების საჭიროებების, ინტერესებისა და მათი მისწრაფებების გათვალისწინება.** [3,4]

### კომპეტენცია 1.1 ახალგაზრდებთან პოზიტიური, არაგანსჯითი ურთიერთობების დამყარება



კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: ახალგაზრდების, სამიზნე ჯგუფის, სამუშაო თემის შესახებ ინფორმაციის ფლობა, ზოგადი სოციალური მდგომარეობის ცოდნა, დემოკრატიის ძირითადი პრინციპებისა და ზოგადი ადამიანის უფლებების შესახებ ცოდნა.

უნარი: ინფორმაციის ანალიზი, ლიდერობა, აქტიური მოსმენა, კომუნიკაცია

დამოკიდებულება და ღირებულება: ახალგაზრდებისადმი და ახალგაზრდული საკითხებისადმი ინტერესი და ცნობისმოყვარეობა, თვითშეგნება, თანაგრძნობა, სოლიდარობა, პატივისცემა, კონფიდენციალურობა, ნეიტრალურობა.

### კომპეტენცია 1.2 ახალგაზრდების სოციალურ მდგომარეობასა და ცხოვრებაში გარკვევა

კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: ახალგაზრდების, სამიზნე ჯგუფის, სამუშაო თემის მდგომარეობისა და სოციალური სტატუსის შესახებ ცოდნა; უმჯობესია ეროვნული ან მუნიციპალური კვლევის გაცნობა ახალგაზრდობისა და მათი მდგომარეობის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

უნარი: ანალიზი, ინფორმაციის მოკვლევა, ინფორმაციის წყაროების სანდოობის შეფასება.

დამოკიდებულება და ღირებულება: ახალგაზრდებისადმი და ახალგაზრდული საკითხებისადმი ინტერესი და ცნობისმოყვარეობა, პატივისცემა, კონფიდენციალურობა, ნეიტრალურობა.



3 ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ მუშაკთა ხელსაწყო ქართულ ენაზე https://bit.ly/3kKmcPL
4 ახალგაზრდული მუშაკის კომპეტენციების ჩარჩო დოკუმენტი 2018 წლის ვერსია - ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია

## კომპეტენცია 1.3 ახალგაზრდების ინტერესებისა და შესაძლებლობების გამორკვევა

კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: ინფორმაციის ფლობა ახალგაზრდების, სამიზნე ჯგუფის, სამუშაო თემის შესახებ, ცოდნა დისკრიმინაციისა და სტერეოტიპების შესახებ, ცოდნა არაფორმალური განათლების პრინციპების შესახებ.



უნარი: პრობლემის ანალიზი, ინფორმაციის მართვა, კომუნიკაცია, ინტერესთა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება სხვადასხვა მეთოდით.

დამოკიდებულება და ღირებულება: პატივისცემა, ტოლერანტობა, სოლიდარობა, ახალგაზრდების პერსპექტივების შეცნობა და გაანალიზება.

## კომპეტენცია 1.4 ახალგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფა ახალგაზრდული საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესში



კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: ახალგაზრდების, სამიზნე ჯგუფის, სამუშაო თემის პრობლემები, გამოწვევები, ინტერესები და საჭიროებები, ახალგაზრდების დემოკრატიული მონაწილეობის პრინციპები.

უნარი: ანალიზი, აქტიური მოსმენა, ფასილიტაცია, ჯგუფის მართვა, საჭიროებების ანალიზი, მიზნებისა და ამოცანების იდენტიფიცირება.

დამოკიდებულება და ღირებულება: პატივისცემა, ნეიტრალურობა, ცნობისმოყვარეობა ახალგაზრდებისადმი, მათი პოტენციალის ხელშეწყობა, საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა.

## კომპეტენცია 1.5 თანასწორობისა და მიმღებლობის კომპეტენცია

კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: ახალგაზრდული საქმიანობის არსისა და ეთიკის კარგად ცოდნა.



უნარი: აქტიური მოსმენა, კომუნიკაცია, ემოციების მართვა, საკუთარი თავის ახალგაზრდულ მუშაკად წარმოჩენა.

დამოკიდებულება და ღირებულება: პატივისცემა, ნეიტრალურობა, კონფიდენციალურობის დაცვა, ემპათიურობა, ახალგაზრდების პირადი და ემოციური საკითხებისადმი მიმღებლობა და გაგება, თანაგრძნობა, სანდოობა, გამჭვირვალობა.

## ფუნქცია 2: აძლევს ახალგაზრდებს სწავლისა და განვითარების შესაძლებლობას[5 6]

### კომპეტენცია 2.1 სწავლის სწავლა

კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: ახალგაზრდული მუშაკი იცნობს მის ძლიერ და სუსტ მხარეებს; იცის პიროვნული და პროფესიული გაძლიერების საჭიროებები.

უნარი: საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვა, განხორციელება და შემდეგ შეფასება, ანალიზი.

დამოკიდებულება და ღირებულება: პატივისცემა, მიმღებლობა, პოზიტიური დამოკიდებულება სასწავლო პროცესებისადმი, მიზანდასახულობა.





### კომპეტენცია 2.2 დამოუკიდებლობის კომპეტენცია

კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: ცოდნა მონაწილეობის საფეხურების შესახებ, ცოდნა სხვადასხვა ტიპის გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესახებ,  ცოდნა ახალგაზრდული საკითხების შესახებ, ახალგაზრდების საჭიროებების ცოდნა.

უნარი: დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება, ლიდერობა, ანალიზი, საკუთარი ემოციების მართვა, ნეიტრალურობის შენარჩუნება, პასუხისმგებლობის აღება.

დამოკიდებულება და ღირებულება: ნეიტრალურობა, პასუხისმგებლობა, ახალგაზრდული საკითხებისა და გამოწვევების მიმართ ცნობისმოყვარეობა, საიმედოობა.

### კომპეტენცია 2.3 კომუნიკაციის კომპეტენცია

კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: ცოდნა კომუნიკაციის სტილებისა და მეთოდების შესახებ, დისკრიმინაციის საფუძვლებისა და სტერეოტიპების ზოგადი ცოდნა, არაძალადობრივი კომუნიკაციის ცოდნა.

უნარი: აქტიური მოსმენა, ნეიტრალურობის შენარჩუნება, საკუთარი აზრის გამოხატვა, კომუნიკაციის მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება, არაძალადობრივი მეტყველება და გამოხატულება, ახალგაზრდებისთვის გასაგებ ენაზე საუბარი.

დამოკიდებულება და ღირებულება: მიმღებლობა, ადამიანის უფლებები, პატივისცემა, ნეიტრალურობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზია.



5 ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ მუშაკთა ხელსაწყო ქართულ ენაზე https://bit.ly/3kKmcPL
6 ახალგაზრდული მუშაკის კომპეტენციების ჩარჩო დოკუმენტი 2018 წლის ვერსია - ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია

## კომპეტენცია 2.4 ახალგაზრდების სასწავლო საჭიროებების, სურვილებისა და სტილის განსაზღვრის კომპეტენცია

კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: სწავლის მიდგომებისა და სტილების ცოდნა, არაფორმალური განათლების ცოდნა, მონაწილეების შესახებ ინფორმაცია, მათი მრავალფეროვნება და ახალგაზრდების გამოწვევების ცოდნა.

უნარი: საჭიროებების ანალიზი, ფასილიტაცია, ლიდერობა, როლების გადანაწილება, ინკლუზიური საგანმანათლებლო მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება/ადაპტირება, სასწავლო მიზნისა და ამოცანების განსაზღვრა.

დამოკიდებულება და ღირებულება: ღიაობა, მრავალფეროვნებისადმი მგრძნობელობა, ახალგაზრდების შეხედულებისადმი ინტერესი, ინიციატივიანი ახალგაზრდების მხარდაჭერა.

## კომპეტენცია 2.5 ახალგაზრდებისთვის უსაფრთხო და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნა

კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: ადამიანის უფლებების შესახებ ზოგადი ცოდნა (სასურველია კომპასიდან), ადამიანის უფლებების სწავლების მიდგომების ცოდნა, სწავლის მიდგომებისა და სტილების ცოდნა, არაფორმალური განათლების ცოდნა, მონაწილეების შესახებ ინფორმაცია, ჯგუფის დინამიკის ცოდნა.

უნარი: სიტუაციის ანალიზი, ფასილიტაცია, მენტორინგი, ინკლუზიური საგანმანათლებლო მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება/ადაპტირება, კრეატიულობა, კონფლიქტური სიტუაციების მართვა, პრობლემის გადაჭრა, ჩაღრმავებისთვის კითხვების ფორმულირება (დებრიფინგი), სიტუაციისა და პროცესების შეფასება, ნეიტრალურობის შენარჩუნება.

დამოკიდებულება და ღირებულება: მრავალფეროვნებისადმი მგრძნობელობა, ახალგაზრდების შეხედულებებისადმი ინტერესი, მიმღებლობა, იდენტობისადმი მგრძნობელობა, კონფლიქტების პოზიტიური აღქმა.

## კომპეტენცია 2.6 კონფლიქტების მართვის კომპეტენცია

კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: კონფლიქტების გარდაქმნისა და მართვის ზოგადი ცოდნა, პოზიტიური და ნეგატიური კონფლიქტების ცოდნა, ცოდნა მონაწილეების პოლიტიკური და სოციალური სიტუაციის შესახებ, დიალოგის წარმოების ტექნიკის ცოდნა.

უნარი: სიტუაციის ანალიზი, ინფორმაციის მოგროვება, გადაწყვეტილების მიღება, კონფლიქტების მართვა, დიალოგის წარმოება, ფასილიტაცია, მედიაცია, ნეიტრალურობის შენარჩუნება, ემოციების მართვა.

დამოკიდებულება და ღირებულება: დიალოგისა და კომპრომისის ძიების სურვილი, კონფლიტების პოზიტიური აღქმა, მიმღებლობა, ნეიტრალურობა, კონფიდენციალურობა, ემპათია.

## ᲙᲝᲛᲞᲔᲢᲔᲜᲪᲘᲐ 2.7 ᲐᲠᲐᲤᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲔᲢᲔᲜᲪᲘᲐ

ᲙᲝᲛᲞᲔᲢᲔᲜᲪᲘᲐ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ:

ცოდნა: არაფორმალური განათლების წარმოშობის, არსებითი თეორიული მოდელების, საბაზისო მეთოდოლოგიური პრინციპების ცოდნა, ინფორმაციის წყაროები, სახელმძღვანელოები აქტივობების შესახებ.

უნარი: ფასილიტაცია, არაფორმალური განათლების პროცესის დაგეგმვა, ჯგუფზე და ინდივიდებზე მორგებული მეთოდების შერჩევა, პროცესის დაგეგმვა და შეფასება, ახალგაზრდების მოტივაცია, ინფორმაციის მართვა.

დამოკიდებულება და ღირებულება: თანასწორი ურთიერთობები, ახალგაზრდების შემოთავაზებებისადმი ღიაობა იმ საქმიანობის შესახებ, რომელიც მათ მოსწონთ და სურთ გააკეთონ, ემპათიურობა.

## ᲙᲝᲛᲞᲔᲢᲔᲜᲪᲘᲐ 2.8 ᲯᲒᲣᲤᲨᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲔᲢᲔᲜᲪᲘᲐ

ᲙᲝᲛᲞᲔᲢᲔᲜᲪᲘᲐ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ:

ცოდნა: არაფორმალური განათლების მრავალფეროვნების ცოდნა, მრავალფეროვნების თეორიის ცოდნა.

უნარი: ფასილიტაცია, არაფორმალური განათლების პროცესის დაგეგმვა, ჯგუფზე და ინდივიდებზე მორგებული მეთოდების შერჩევა, ჯგუფში „შეღწევის“, ჯგუფის გაცნობისა და მასთან კონსტრუქციული და პროფესიონალური ურთიერთობის შენარჩუნების უნარი.

დამოკიდებულება და ღირებულება: თანასწორი ურთიერთობები, მრავალფეროვნების პოზიტიური ხედვა, ნეიტრალურობა, მიმღებლობა.

### კომპეტენცია 2.9 ახალგაზრდების შესაბამისი მითითებებითა და უკუკავშირით უზრუნველყოფა



კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: არაფორმალური განათლების პრინციპებისა და ახალგაზრდული საქმიანობის ეთიკის ცოდნა.

უნარი: ფასილიტაცია, მენტორინგის მეთოდების გამოყენება, პროცესების დაგეგმვა და შეფასება, ანალიზი.

დამოკიდებულება და ღირებულება: თანაგრძნობა, ღიაობა, მიმღებლობა, სხვების კომფორტის ზონიდან გამოყვანისთვის მზადყოფნა.

### კომპეტენცია 2.10 ახალგაზრდებისთვის სწავლის შესაძლებლობების გაცნობა და მათი გამოყენება



კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: ინფორმაციის ფლობა, შესაბამისი საგანმანათლებლო/პროფესიული სახელმძღვანელო წყაროები, სწავლის ხელმისაწვდომი შესაძლებლობები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, არაფორმალური განათლების პროგრამები და ა.შ.

უნარი: ინფორმაციის ანალიზი, მიწოდება, კონსულტირება, ახალგაზრდების მოტივაცია.

დამოკიდებულება და ღირებულება: ღიაობა, შესაძლებლობების მოძიების სურვილი, ახალგაზრდების პიროვნული და პროფესიული განვითარების მიმართ ინტერესი.

## ფუნქცია 3: ხელს უწყობს და ეხმარება ახალგაზრდებს, შეიცნონ თემი, რომელშიც ცხოვრობენ და აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში [7 8]

### კომპეტენცია 3.1 ახალგაზრდებისთვის მიზნების დასახვაში ხელის შეწყობა, სტრატეგიების შემუშავებაში, ინდივიდუალური და კოლექტიური აქტივობების ორგანიზებაში მხარდაჭერა სოციალური ცვლილებებისთვის

კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: ახალგაზრდების ინტერესების, რეალობისა და გამოწვევების ცოდნა.

უნარი: მონაწილეობრივი პროცესის დაგეგმვა, ლიდერობა, ფასილიტაცია, კრიტიკული აზროვნება, აქტიური მოსმენა, ჯგუფის მართვა.

დამოკიდებულება და ღირებულება: ღიაობა, შესაძლებლობების მოძიების სურვილი, პასუხისმგებლობებისა და ძალაუფლების თანაბარი გადანაწილება.



7 ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ მუშაკთა ხელსაწყო ქართულ ენაზე https://bit.ly/3kKmcPL
8 ახალგაზრდული მუშაკის კომპეტენციების ჩარჩო დოკუმენტი 2018 წლის ვერსია - ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია

## კომპეტენცია 3.2 ახალგაზრდულ საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ცოდნის კომპეტენცია



კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: ახალგაზრდული საქმიანობის სფეროსათვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი ასპექტების ცოდნა, ახალგაზრდული პოლიტიკის ზოგადი ცოდნა, მიმდინარე პროცესების ცოდნა.

უნარი: ინფორმაციის მოძიება და ანალიზი, ადვოკატირება.

დამოკიდებულება და ღირებულება: შესაძლებლობების მოძიებისა და საზოგადოებაში ცვლილებების განხორციელების სურვილი, ახალგაზრდული საკითხებისადმი ინტერესი.



## კომპეტენცია 3.3 ახალგაზრდული მუშაკის როლების ცოდნისა და გამოყენების კომპეტენცია

კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: ახალგაზრდული საქმიანობის ეთიკის ცოდნა, ახალგაზრდული მუშაკის ფუნქციებისა და როლის ცოდნა.

უნარი: ინფორმაციის მოძიება, დამოკიდებულების კვლევა თემში (საზოგადოებაში), ახალგაზრდული მუშაკის როლის გამოყენება, საკითხის ადვოკატირება.

დამოკიდებულება და ღირებულება: შესაძლებლობების მოძიებისა და საზოგადოებაში ცვლილებების განხორციელების სურვილი, ახალგაზრდული საკითხებისადმი ინტერესი და ცნობისმოყვარეობა, ახალგაზრდული საქმიანობისა და ახალგაზრდული მუშაკის როლის გაზრდა საზოგადოებაში.

## კომპეტენცია 3.4 საზოგადოებრივი ურთიერთობების კომპეტენცია

კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: ადგილობრივი რეალობის ცოდნა, საზოგადოებრივი ურთიერთობების არხების ცოდნა, ახალგაზრდული საქმიანობის მიზნების მიღწევისათვის საზოგადოებრივი ურთიერთობების საშუალებების გამოყენების ცოდნა.



უნარი: ინფორმაციის გავრცელება და გამოყენება, ანალიზი, სამიზნე ჯგუფების იდენტიფიცირება, კრეატიულობა, კომუნიკაცია.

დამოკიდებულება და ღირებულება: ღიაობა, შესაძლებლობების მოძიების სურვილი, პასუხისმგებლობა, ინფორმაციის გავრცელება და საზოგადოების წევრებამდე მიტანის მისწრაფება.

## კომპეტენცია 3.5 ახალგაზრდებში თავდაჯერებულობის განვითარების კომპეტენცია

კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: ახალგაზრდების საჭიროებების ცოდნა, პიროვნული და პროფესიული განვითარების მიდგომების ცოდნა, არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდული საქმიანობის ეთიკისა და არსის ცოდნა.

უნარი: მენტორინგი, ფასილიტაცია, ქოუჩინგი, კომუნიკაცია, უკუკავშირი, ანალიზი, კრეატიულობა, თვითშეფასებისა და განვითარების ტექნიკების გამოყენება.

დამოკიდებულება და ღირებულება: პასუხისმგებლობა, ღიაობა, სანდოობა, საიმედოობა, პატივისცემა, რისკი.



## კომპეტენცია 3.6 ახალგაზრდებში კრიტიკული აზროვნების განვითარება და სოციალური და პოლიტიკური სისტემების შეცნობის კომპეტენცია

კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: საზოგადოება, პოლიტიკური სისტემა, მმართველობა, ურთიერთობა ხელისუფლებასთან, ახალგაზრდობასთან დაკავშირებული რეგულაციები - ახალგაზრდული პოლიტიკა, ახალგაზრდული საქმიანობა, არსებული სტრუქტურების მუშაობა.

უნარი: ლიდერობა, კომუნიკაცია, ინფორმაციის ანალიზი და მოგროვება, პოლიტიკური წიგნიერება, აქტიური მოსმენა, კრიტიკული აზროვნება, ადვოკატირება.

დამოკიდებულება და ღირებულება: პასუხისმგებლობა, ღიაობა, ცვლილებების ინტერესი, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის ხელშეწყობა და ახალგაზრდების მონაწილეობა.



## ფუნქცია 4: ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად ახორციელებს შეფასებებს [9] [10]



### კომპეტენცია 4.1 შეფასებისა და კვლევის კომპეტენცია
კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: შეფასებისა და კვლევის მეთოდების ცოდნა.

უნარი: ანალიზი, ინფორმაციის დახარისხება, შეფასების მეთოდების გამოყენება, კომუნიკაცია, კითხავრების შედგენა, სასწავლო პროგრესის შეფასება, კვლევით მიღებული შედეგების საფუძველზე სასწავლო პროცესის დაგეგმვა.

დამოკიდებულება და ღირებულება: პასუხისმგებლობა, ახალგაზრდების მონაწილეობა, ინკლუზია.

### კომპეტენცია 4.2 ახალგაზრდების ჩართულობა შეფასების დაგეგმვასა და ორგანიზებაში

კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: შეფასების ცოდნა, ინკლუზიური შეფასების მიდგომების ცოდნა.

უნარი: ანალიზი, აქტიური მოსმენა, პროცესების მართვა, ჯგუფის მართვა, კვლევის ტექნიკების გამოყენება, ლიდერობა.

დამოკიდებულება და ღირებულება: პასუხისმგებლობა, ახალგაზრდების მონაწილეობა, ინკლუზია.

### კომპეტენცია 4.3 შეფასების მონაწილეობრივი მეთოდების სპექტრის დაგეგმვისა და გამოყენების კომპეტენცია

კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: ინკლუზიური შეფასების მიდგომების ცოდნა.

უნარი: ანალიზი, მონაწილეობრივი მეთოდები, ლიდერობა, ფასილიტაცია.

დამოკიდებულება და ღირებულება: გახსნილობა კონსტრუქციული კრიტიკისა და უკუკავშირის მიმართ.

9 ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ მუშაკთა ხელსაწყო ქართულ ენაზე https://bit.ly/3kKmcPL
10 ახალგაზრდული მუშაკის კომპეტენციების ჩარჩო დოკუმენტი 2018 წლის ვერსია - ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია

## კომპეტენცია 4.4 შეფასების შედეგების გამოყენების კომპეტენცია

კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: ცოდნა შედეგების შესახებ  და მათი შემდგომი გამოყენების მიმართულების დასახვა.

უნარი: ანალიზი, შეფასება, სასწავლო პროგრამაში გამოყენება.

დამოკიდებულება და ღირებულება: გახსნილობა, ადაპტირება ახალ სიტუაციებთან, გახსნილობა კონსტრუქციული კრიტიკისა და უკუკავშირის მიმართ.





## კომპეტენცია 4.5 კოლეგებთან ერთად გუნდური მუშაობის შეფასების კომპეტენცია

კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: გუნდური მუშაობა,  გუნდური სწავლება, შეფასების ცოდნა.

უნარი: შეფასება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შეფასების შედეგების გამოყენება, ინფორმაციის ადაპტირება.

დამოკიდებულება და ღირებულება: სანდოობა, ღიაობა, მიმღებლობა.

## კომპეტენცია 4.6 ახალგაზრდების მდგომარეობისა და საჭიროებების თაობაზე ჩატარებული უახლესი კვლევების მოძიების კომპეტენეცია

კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: ინფორმაცია მუდმივად არსებული კვლევების შესახებ, ახალგაზრდული კვლევის მიდგომების ცოდნა, აქტორებისა და წყაროების შესახებ ინფორმაცია.

უნარი: ანალიზი, ინფორმაციის მართვა, მოძიება, ანალიზი, გამოყენება.

დამოკიდებულება და ღირებულება: ინფორმაციის ადაპტირება, ცნობისმოყვარეობა.



## ფუნქცია 5: შეიმუშავებს, წარმართავს და აფასებს აქტივობებსა და პროექტებს [11 12]

### კომპეტენცია 5.1 პროექტის მართვის კომპეტენცია
### კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: პროექტის მართვის ციკლისა და ძირითადი მიდგომების ცოდნა.



უნარი: მიზნისა და ამოცანების ფორმულირება, მართვა (ფინანსების ჩათვლით), ლიდერობა, დელეგირება, ფასილიტაცია, კოორდინაცია, დაგეგმვა, ორგანიზება, კომუნიკაცია, სტრესულ გარემოში მუშაობა, დროის მართვა.

დამოკიდებულება და ღირებულება: ინფორმაციის ადაპტირება, ახალგაზრდების პოტენციალისა და თვითრეალიზების ხელშეწყობა.



### კომპეტენცია 5.2 ორგანიზაციული მართვის კომპეტენცია (საჭიროების შემთხვევაში)

### კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის პრინციპების ცოდნა.

უნარი: ლიდერობა, ანალიზი, ორგანიზაციული განვითარების პროცესის მხარდაჭერა, ორგანიზაციული პროექტების ან აქტივობების გამოყენება.

დამოკიდებულება და ღირებულება: ახალგაზრდების პოტენციალისა და თვითრეალიზების ხელშეწყობა. ღირებულებებზე დაფუძნებული საქმიანობა.

### კომპეტენცია 5.3 პროექტის ხილვადობის, ანგარიშების დაწერისა და ინფორმაციის გავრცელების კომპეტენცია

### კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: საზოგადოებასთან ურთიერთობის ელემენტარული მიდგომები, ახალგაზრდული სფეროსა და ახალგაზრდების საჭიროებების ცოდნა.

უნარი: პრეზენტაცია, ადვოკატირება, ინფორმაციის ანალიზი, საჯარო გამოსვლა, ანგარიშის დაწერა, ინფორმაციის ადაპტირება, გავრცელების არხების გამოყენება.

დამოკიდებულება და ღირებულება: ინფორმაციის ადაპტირება, ახალგაზრდების ინტერესების ადვოკატირება, ინკლუზია, ცნობიერების ამაღლება ახალგაზრდული საკითხებისადმი.



11 ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ მუშაკთა ხელსაწყო ქართულ ენაზე https://bit.ly/3kKmcPL

12 ახალგაზრდული მუშაკის კომპეტენციების ჩარჩო დოკუმენტი 2018 წლის ვერსია - ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია

## კომპეტენცია 5.5 ციფრული, ინფორმაციული და საკომუ-ნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების კომპეტენცია (საჭიროების შემთხვევაში)

კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: ციფრული ტექნოლოგიები, საკომუნიკაციო არხები.

უნარი: კრეატიულობა, ანალიზი, ტექსტის ადაპტირება, ციფ-რული ტექნოლოგიების გამოყენება.

დამოკიდებულება და ღირებულება: ცნობისმოყვარეობა, ახალგაზრდული საკითხების პოპულარიზაცია და ადვოკატი-რება.



## ფუნქცია 6: ახალგაზრდებისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა [13] [14]

კომპეტენცია 6.1 პირველადი დახმარების კომპეტენცია
კომპეტენცია მოიცავს:

ცოდნა: პირველადი დახმარების ელემენტარული ცოდნა, პირველადი დახმარების ჩანთის გამოყენების ცოდნა, არსებული სამედიცინო დაწესებულებების საკონტაქტო ინფორმაციის ფლობა.

უნარი: პირველადი დახმარების გაწევის უნარი, სტრესულ გარემოში სწრაფი მოქმედების უნარი, კომუნიკაცია, სიტუაციაზე ადაპტირება, სწრაფი რეაგირება.

დამოკიდებულება და ღირებულება: ადამიანის უფლებები, ჯანმრთელობის გაფრთხილება, თითოეული მონაწილის საჭიროების გათვალისწინება.



13 ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ მუშაკთა ხელსაწყო ქართულ ენაზე https://bit.ly/3kKmcPL
14 ახალგაზრდული მუშაკის კომპეტენციების ჩარჩო დოკუმენტი 2018 წლის ვერსია - ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია

## კომპეტენცია 6.2 უსაფრთხოების ზომების წინასწარ გათვალისწინების კომპეტენცია

**კომპეტენცია მოიცავს:**

**ცოდნა:** მონაწილეების შესახებ ინდივიდუალური საჭიროებების (საკვები, სამედიცინო, წნევის ცვალებადობა ა.შ.) წინასწარ ცოდნა.

**უნარი:** მონაწილეების საჭიროებების იდენტიფიცირება, გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, საკვების შერჩევა (თუ გასვლითი ღონისძიებაა) მათი საჭიროებებიდან გამომდინარე, მეთოდების ადაპტირება სასწავლო პროცესის დროს მონაწილეების ჯანმრთელობისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

**დამოკიდებულება და ღირებულება:** ადამიანის უფლებები, ჯანმრთელობის გაფრთხილება, თითოეული მონაწილის საჭიროების გათვალისწინება, მონაწილეობის ხელშეწყობა.



***დამატებითი კომენტარი:*** *ყველა ახალგაზრდულმა მუშაკმა უნდა გაითვალისწინოს, რომ: პიროვნების ჯანმრთელობა ადამიანის კეთილდღეობისა და ღირსების მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია. ზოგადი მოსაზრებით, სახელმწიფოს, ამ თვალსაზრისით, გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრება: მას ხელეწიფება ძირითადი პირობების შექმნა საიმისოდ, რომ დაცული იყოს პიროვნების ჯანმრთელობა და შესაძლებელი მისი გაუმჯობესება. საქართველოს კანონმდებლობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, სხვადასხვა კანონების, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.*

*მუხლი 25* [15]
**ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია**

*„ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და თავისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად და უფლება, უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, შეზღუდული შესაძლებლობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო, არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში“.*

15 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია https://bit.ly/3zupTgq

# სპეციფიკური კომპეტენციები

სპეციფიკური კომპეტენციების შემუშავება დღითი დღე უფრო მნიშვნელოვანი ხდება ახალგაზრდული მუშაკების ხარისხზე ორიენტირებული საქმიანობისთვის. თუ მოხდება ახალგაზრდული მუშაკების კომპეტენციების უფრო მეტად იდენტიფიცირება, მათი უფრო დეტალური შესწავლა და შეცნობა, ეს ხელს შეუწყობს ზოგადი სურათის გაუმჯობესებასა და ახალგაზრდული მუშაკების აღიარების პროცესს საზოგადოებაში. ახალგაზრდული მუშაკების სპეციფიკური კომპეტენციები არის კომპეტენციები, რომლებიც უფრო უნიკალურს ხდის ახალგაზრდული მუშაკის საქმიანობას და ორიენტირებულია ახალგაზრდული საქმიანობის კონკრეტული ტიპის/ფორმის მიმართულებით კომპეტენციების განვითარებაზე. ეს მიმართულებებია: ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა, მობილური ახალგაზრდული საქმიანობა, სასკოლო და საერთაშორისო ახალგაზრდული საქმიანობა.

### საერთაშორისო პროექტებზე მომუშავე ახალგაზრდული მუშაკის კომპეტენციების ჩარჩო [16]



გლობალიზაციის პროცესი ახალგაზრდების ცხოვრებაზე მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. იზრდება ქვეყნების შიგნით და მათ ფარგლების გარეთ მობილობა დასაქმების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და სხვა მიმართულებებით. ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის შემოღებამ საქართველოში ახალგაზრდების მობილობის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად გაზარდა. ახალგაზრდების არაფორმალური განათლების მიმართულებით მობილობის პროგრამებში ჩართულობა ევროკავშირის პროგრამის – Erasmus Plus-ის შედეგადაც გაიზარდა. გაიზარდა ასევე ახალგაზრდების მიერ საქართველოში განხორციელებული საერთაშორისო პროექტების რიცხვი. შესაბამისად, ყოველწლიურად უფრო მეტ ახალგაზრდას ეძლევა შესაძლებლობა, მიიღოს საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება. ახალგაზრდულ მუშაკებს შეუძლიათ აქტიურად შეუწყონ ხელი ადგილობრივი ახლგაზრდების ჩართულობას საერთაშორისო სასწავლო პროექტებსა და სასწავლო ვიზიტებში.



ახალგაზრდული საქმიანობა უფრო ევროპული ხდება და ახალგაზრდული მუშაკებიც უფრო მეტად აქტიურად არიან ჩართულები საერთაშორისო საქმიანობაში. საერთაშორისო პროექტებზე მომუშავე ახალგაზრდული მუშაკების კომპეტენციების ჩარჩო ყურადღებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: საერთაშორისო გუნდთან მუშაობა, ახალგაზრდების დახმარება საერთაშორისო სწავლების პროცესში, მობილობის პროექტები და სხვ. გარდა ამისა, ჩარჩო ხელს უწყობს თავად ახალგაზრდულ მუშაკებს, მოახდინონ თვითშეფასება და გააანალიზონ, რომელი კომპეტენციის განვითარება ან რა ცოდნა ესაჭიროებათ იმ შემთხვევაში, თუ ახო-

16 კომპეტენციის ჩარჩო ეყრდნობა „ევროპის სასწავლო სტრატეგიას ახალგაზრდობის სფეროში“. სტრატეგია ხელს უწყობს ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას, ახალგაზრდული აქტივობებისა და შესაძლებლობების განვითარებას ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის - https://bit.ly/3y76nXm

რციელებენ საერთაშორისო სასწავლო პროექტებს ან სასწავლო ვიზიტებს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს არის ხელსაწყო, რომელიც შესაძლოა გამოდგეს როგორც რეფლექსიისთვის, ასევე საკუთარი კომპეტენციების შეფასებისთვის. ასევე გასათვალისწინებელია, რომ შესაძლოა ჩარჩო მოარგოთ თქვენს საჭიროებებს, რადგან ახალგაზრდული საქმიანობის არეალი, სამიზნე ჯგუფები და მათი რეალობა განსხვავდება.

საერთაშორისო გარემოში მუშაობა მოითხოვს სასწავლო პროცესების, ახალგაზრდული საქმიანობის ეთიკისა და პრინციპების, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კონტექსტის კარგად ცოდნას. ეს კომპეტენციის ჩარჩო არის დამატება უკვე ჩამოყალიბებული ახალგაზრდული მუშაკის ფუნქციებსა და კომპეტენციებზე.

მოცემული კომპეტენციები შესაძლოა დავაკავშიროთ რამდენიმე ძირითად კომპეტენციასთან, თუმცა კომპეტენციის შინაარსი, ანუ ცოდნა, უნარი და დამოკიდებულება განსხვავდება ძირითადი კომპეტეცნიებისგან. საერთაშორისო სასწავლო პროექტებზე მომუშავე ახალგაზრდულ მუშაკს, გარდა ძირითადი კომპეტენციებისა, უნდა ჰქონდეს განვითარებული შემდეგი 6 კომპეტენცია:

**ვისთვის არის კომპეტენციების ჩარჩო ?**

- ახალგაზრდული მუშაკებისთვის, ვინც ჩართულია საერთაშორისო სასწავლო პროექტებში;

- ტრენერები, ფასილიტატორები, ლიდერები, ვინც აორგანიზებენ საერთაშორისო სასწავლო პროექტებს;

- ორგანიზაციები ან ინსტიტუციები, რომლებიც გეგმავენ ან ახორციელებენ სასწავლო პროგრამებს ახალგაზრდული მუშაკებისთვის.

## კომპეტენციები: [17]

### კომპეტენცია მოიცავს:

**ცოდნა:** ადამიანური რესურსის მართვის საბაზისო ცოდნა, საერთაშორისო ურთიერთობების ზოგადი თეორიის ცოდნა, სამიზნე ჯგუფის - მონაწილეების წარმომავლობისა და მათ თემში არსებული ზოგადი სიტუაციის ცოდნა, ჯანდაცვის რეგულაციების ცოდნა (იმ ქვეყნის, სადაც ხორციელდება პროექტი), საჭიროების შემთხვევაში, პროექტის ან პროგრამის ფინანსური მართვის ცოდნა, ზოგადი ადამიანის უფლებების ცოდნა.

**უნარი:** ინფორმაციის გადაცემა, ინსპირაციული ლიდერობა, მოტივაციის შენარჩუნება და ამაღლება, ადამიანური რესურსების მართვის ხელსაწყოების ინტეგრირება არაფორმალურ განათლებაში, გუნდისა და რესურსების მობილიზება, კონფლიქტური სიტუაციების მართვა, რისკების აცილება, სტრესულ გარემოში მუშაობა (საჭიროების შემთხვევაში), მრავალფეროვან ადამიანებთან მუშაობის პროცესის მართვა, პასუხისმგებლობების გადანაწილება, დოკუმენტების დახარისხება.

**დამოკიდებულება და ღირებულება:** ინკლუზია, ახალი გამოწვევების მიღება, ნეიტრალურობა, დემოკრატიულობა, თანასწორობა და თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობა.

17 ახალგაზრდული მუშაკების კომპეტენციების მოდელი - ვინც მუშაობს საერთაშორისო დონეზე https://bit.ly/3wUnbPO

## 4. კულტურათაშორისი კომპეტენცია. კომპეტენცია მოიცავს:

**ცოდნა:** კულტურათაშორისი ცნებისა და კონცეფციის ზოგადი ცოდნა, იდენტობასთან დაკავშირებული მექანიზმების ცოდნა, მონაწილეების კულტურული კონტექსტის ცოდნა, სტერეოტიპული დამოკიდებულებების, შეხედულებების ან ქცევების ცოდნა (იგულისხმება სიტყვიერი და ფიზიკური გამოხატულება), დისკრიმინაციის პრინციპებისა და ფორმების ცოდნა, ადამიანის უფლებების, ქალთა უფლებების და გენდერული თანასწორობის ზოგადი ცოდნა, ადამიანის უფლებათა სწავლების მიდგომების და გენდერული ანალიზის ცოდნა.

**უნარი:** დაძაბული და კონფლიქტური სიტუაციების მართვა, სხვადასხვა კულტურებთან მუშაობა, ადამიანის უფლებათა სწავლების მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება, დისკრიმინაციის აღქმა და სათანადო რეაგირება, ინფორმაციის ანალიზი, შეფასება, აქტიური მოსმენა, დეტალებზე ორიენტირებულობა, მეთოდების სწორი შერჩევა და გამოყენება.

**დამოკიდებულება და ღირებულება:** მოულოდნელი ფაქტებისა და სიტუაციების მიმღებლობა, ინკლუზია, ნეიტრალურობა, ემპათიურობა, მრავალფეროვნება, სიფრთხილე, რომ არ გავამყაროთ ან გავაძლიეროთ სტერეოტიპული დამოკიდებულებები მონაწილეებს შორის, ინდივიდუალური და გუნდური მხარდაჭერის მზაობა, სანდოობა, ღიაობა, დემოკრატიულობა, მშვიდობა.

## 5. ქსელური თანამშრომლობისა და ადვოკატირების კომპეტენცია.

კომპეტენცია მოიცავს:

**ცოდნა:** ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდული საქმიანობის ცოდნა (პროექტის მონაწილე ქვეყნებიდან გამომდინარე), ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის ცოდნა, ცოდნა ახალგაზრდების უფლებების შესახებ, ინფორმაციის ფლობა ისეთი ევროპული დიდი ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც ახორციელებენ ახალგაზრდულ პოლიტიკას და ახალგაზრდულ საქმიანობას, მედიისა და ინფორმაციის გავრცელების არხების ცოდნა, ცოდნა ადვოკატირებისა (ახალგაზრდული საქმიანობის მიმართულებით) და არსებული პრაქტიკების შესახებ.

**უნარი:** თანამშრომლობის ხელშეწყობა, განვითარება, საერთო ინტერესების იდენტიფიცირება, კვლევის განხორციელება და რელევანტური ინფორმაციის მოძიება, ქსელური თანამშრომლობის განვითარება, კომუნიკაცია, მედიისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება, გუნდური მუშაობა, დაგეგმვა, კრეატიული იდეების გენერირება, სიტუაციური ანალიზი, მათ შორის გენდერულ ჭრილში.

**დამოკიდებულება და ღირებულება:** სანდოობა, ღიაობა, თანამშრომლობის სურვილი და შესაძლებლობა, აზრებისა და დამოკიდებულებების თავისუფლად გამოხატვა, პატივისცემა, კომპრომისზე წასვლა, დიალოგის ხელშეწყობა, ნეიტრალურობა.

## 6.ცვლილებებისა და შედეგების შეფასების კომპეტენცია.

კომპეტენცია მოიცავს:

**ცოდნა:** პროცესებისა და აქტივობების შეფასების სისტემისა და მექანიზმების ცოდნა, გავლენისა და ცვლილებების შეფასება, შეფასების მეთოდების გამოყენება არაფორმალურ განათლებაში, ინფორმაციის მოგროვების ტექნიკების ცოდნა, ინფორმაცია არსებული კვლევების შესახებ, ინფორმაციის გავრცელების წყაროების ცოდნა.

**უნარი:** შეფასების მეთოდების გამოყენება ან ადაპტირება არაფორმალურ განათლებაში, შეფასების მეთოდების მორგება მონაწილეების სქესის ნიშნით საჭიროებებზე, ანგარიშის წერა და გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება, ინფორმაციის, მათ შორის სქესის ნიშნით კლასიფიცირებული მონაცემების თავმოყრა და დახარისხება, თვისებრივი და რაოდენობრივი შედეგების გენდერული ანალიზი, განგრძობითი შედეგების ანალიზი, შემდეგი სამოქმედო გეგმის შედგენა (საჭიროების შემთხვევაში), ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა არხის საშუალებით.

**დამოკიდებულება და ღირებულება:** ღიაობა სხვადასხვა შეფასების სისტემებთან, უკუკავშირის ან შეფასების მიმღებლობა, მონაწილეების ჩართულობა, გამოწვევების მიმღებლობა, აზრებისა და დამოკიდებულებების თავისუფლად გამოხატვა, შედეგების აღიარება, სასწავლო პროგრესის შეფასების შესაძლებლობა.



## ციფრული ახალგაზრდული მუშაკის კომპეტენციების ჩარჩო[18]

დღევანდელ ცხოვრებაში ყოველდღიურად იზრდება მობილური ტელეფონებისა (სმარტფონების) და ტაბლეტების მოხმარება ახალგაზრდებში. ახალგაზრდები მოწყობილობებს გამოიყენებენ გასართობად (მუსიკა, ფილმი, თამაში, ფოტო, ვიდეო, ტელევიზია, სერიალები), კომუნიკაციისთვის (სმს, ელ.ფოსტა, მესენჯერი...), სამსახურეობრივად, სოციალური მედიისთვის (FB, twitter, tik tok, Instagram...). სამყაროს გაციფრულებამ და ტექნოლოგიურმა განვითარებამ შექმნა საფრთხე, რომ შესაძლოა ახალგაზრდულ მუშაკებსა და ახალგაზრდებს შორის გაჩნდეს ბარიერი. ახალგაზრდული მუშაკები და მათი მიდგომები აღარ იყოს საინტერესო ახალგაზრდებისთვის. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, ახალგაზრდულმა მუშაკებმა განივითარონ ციფრული კომპეტენციები, რომ ახალი თაობისთვის უფრო მიმზიდველი, საინტერესო და მათზე მორგებული გახადონ სამუშაო პროცესი.



ციფრულ ახალგაზრდულ საქმიანობას აქვს ისეთივე მიზნები, როგორიც კლასიკურ ახალგაზრდულ საქმიანობას და ემყარება იმავე ეთიკას, ფასეულობებსა და პრინციპებს. შესაბამისად, აღნიშნულ საქმიანობაში ციფრული მედიისა და ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უნდა უწყობდეს ახალგაზრდული საქმიანობის მიზნების მიღწევას.

ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს როგორც პირისპირ სიტუაციებში, ასევე ონლაინ გარემოში ან ორივე შემთხვევაში ერთად. ციფრული მედია და ტექნოლოგიები კი შეიძლება იყოს ხელსაწყო, რომელსაც აქტიურად გამოიყენებთ ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელებისას. ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა თავისთავად ხელს უწყობს ახალგაზრდული საქმიანობის სამიზნე კომპეტენციებისა და ევროპის კავშირის მიერ დადგენილ ციფრული კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობას ახალგაზრდებში. ციფრულ ახალგაზრდულ მუშაკს წარმატებული ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკისთვის უნდა ჰქონდეს ახალგაზრდული მუშაკის ძირითადი და ციფრული ახალგაზრდული მუშაკის კომპეტენციები განვითარებული.[19]

**ზოგადად ციფრული კომპეტენცია მოიცავს** - ახალგაზრდულ საქმიანობაში საინფორმაციო ტექნოლოგიების კრიტიკულად და მყარად გამოყენების შესაძლებლობას. ინფორმაციის შედგენის, შეფასების, შენახვის, მომზადების, წარდგენისა და მისი გაზიარებისთვის კომპიუტერის სრულფასოვნად გამოყენების უნარს.

18 კომპეტენციის ჩარჩო ეყრდნობა “ციფრული ახალგაზრდული მუშაკის კომპეტენციების ჩარჩო დოკუმენტს“ - shorturl.at/hpCDK და მობილური ახალგაზრდული საქმიანობა 2.0 - ახალგაზრდული მუშაკების კომპეტენციების ჩარჩო - სმარტფონებისა და სოციალური მედიის ერაში. https://bit.ly/3wXXvSb

19 ციფრული ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება 2016-2018 shorturl.at/uPY15

**კომპეტენციები:** [20] [21]

1. დიგიტალიზაციის შეცნობა

- საზოგადოების განვითარებაზე და ყოველდღიურობაზე დიგიტალიზაციის გავლენისა და გააზრების შესაძლებლობა;

- ახალგაზრდების დიგიტალიზაციის კულტურის გათვალისწინება ახალგაზრდული საქმიანობის პროცესში;

- ახალგაზრდების დიგიტალიზაციის პროცესებში გაძლიერების ხელშეწყობა.

2. ციფრული ახალგაზრდული საქმიანობის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება:

- ციფრული ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ სიღრმისეული ცოდნა;

- ახალგაზრდული საქმიანობის კონტექსტში ციფრული მედიისა და ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობა;

- ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების გამორკვევის შესაძლებლობა ციფრული ახალგაზრდული საქმიანობის პროცესების დაგეგმვისა და წარმართვისათვის;

- ციფრული ახალგაზრდული საქმიანობის თანმხლები რისკების შეფასების, რეაგირებისა და ინტერვენციის შესაძლებლობა.

3. საინფორმაციო და მედია წიგნიერება:

- ციფრული კონტენტის კრიტიკული შეფასების პროცესებში ახალგაზრდების მხარდაჭერის შესაძლებლობა;

- ბენეფიციარი ახალგაზრდების ციფრული წიგნიერების დონის შეფასებისა და აღნიშნული დონის მიხედვით აქტივობების ადაპტირების შესაძლებლობა.

4. კომუნიკაცია ციფრული ახალგაზრდული საქმიანობის დროს:

- ბენეფიციარი ახალგაზრდებისთვის მისაღები/ხელსაყრელი კომუნიკაციის მეთოდების დადგენისა და ციფრული ახალგაზრდული საქმიანობის პროცესებში გამოყენების შესაძლებლობა;



20 ციფრული ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება 2016-2018 shorturl.at/uPY15
21 ახალგაზრდული მუშაკის კომპეტენციების ჩარჩო დოკუმენტი 2018 წლის ვერსია - ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია

- კომუნიკაციის სხვადასხვა შესაძლო არხების გამოყენების შესაძლებლობა;

- ონლაინ სიძულვილის ენისა და კიბერ ბულინგის იდენტიფიცირების, რეაგირებისა და პრევენციის შესაძლებლობა.

5. ციფრული კრეატივი:

- ბენეფიციარი ახალგაზრდის ციფრული ტექნოლოგიების მხარდაჭერით თვითგამოხატვის ხელშეწყობის შესაძლებლობა;

- ციფრული თვითგამოხატვისა და ციფრული კონტენტის შექმნის დროს საჭირო ხელსაწყოების გამოყენების შესაძლებლობა;

- საავტორო უფლებების დაცვა (ფოტო, ვიდეო მასალა ან სხვა);

- მონაწილეების პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

6. ციფრული უსაფრთხოება:

- კიბერ ჰიგიენისა და მონაცემთა უსაფრთხოების შესახებ ცოდნის ქონა;

- პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციის სწორი მენეჯმენტის შესაძლებლობა ციფრული ხელსაწყოების გამოყენებით ახალგაზრდებთან მუშაობის დროს.

7. რეფლექსია და შეფასება ციფრული ახალგაზრდული საქმიანობის დროს:

- რეფლექსიისა და შეფასების პროცესების წარმართვის შესაძლებლობა ციფრულ ახალგაზრდულ საქმიანობაში;

- რეფლექსიისა და შეფასების ტექნიკებისა და ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობა ციფრულ ახალგაზრდულ საქმიანობაში.



***დამატებითი კომენტარი:*** *როდესაც ვსაუბრობთ მედია სივრცეზე და ციფრულ ტექნოლოგიებზე, მნიშვნელოვანია მონაწილეების საავტორო უფლებების დაცვა:*
*- უნდა გვქონდეს მათი ფოტოების ან ვიდეო მასალის გამოქვეყნების უფლება, არასრულწლოვნების შემთხვევაში - მშობლების ნებართვა.*
*- მონაწილეების პირადი მონაცემების კონფიდენციალურობა უნდა იყოს დაცული და უსაფრთხო (მათი საკონტაქტო ტელეფონის, ელ.ფოსტის, პირადი ნომრის, მისამართის გაცემა ნებისმიერ მესამე პირზე არ არის უსაფრთხო  ან უნდა გვქონდეს წერილობითი ნებართვა მონაწილეების მხრიდან).*

## მობილური ახალგაზრდული მუშაკის კომპეტენციების ჩარჩო [22]

მობილური ახალგაზრდული საქმიანობა ახალგაზრდული საქმიანობის ფორმაა, რომელიც ძირითადად ხორციელდება იქ, სადაც ახალგაზრდული საქმიანობის სერვისები და ინფრასტრუქტურა არ არის განვითარებული. მობილური ახალგაზრდული საქმიანობა სრულიად იზიარებს ახალგაზრდული საქმიანობის ღირებულებებსა და პრინციპებს, დაფუძნებულია ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებებზე და ხორციელდება ახალგაზრდისთვის ჩვეულ გარემოში.

მობილური ახალგაზრდული საქმიანობის სხვადასხვა პრაქტიკები არსებობს. შესაბამისად, არსებობს სხვადასხვა განმარტებაც. ეს ტერმინოლოგია ევროპაშიც განსხვავდება, ვინაიდან ახალგაზრდული საქმიანობა პირდაპირ დამოკიდებულია  სხვადასხვა ქვეყანაში სოციალურ პოლიტიკაზე, ეკონომიკურ სიტუაციაზე, კულტურულ და იურიდიულ გარემოზე.  მიუხედავად მრავალფეროვნებისა, ძირითადი მახასიათებლები ასეთია:

- მნიშვნელოვანია ყველა ახალგაზრდაზე მიღწევადობა;

- ახალგაზრდებისთვის შესაძლებლობები უნდა იყოს მაქსიმალურად თანასწორი ყველასათვის;

- მობილურ საქმიანობას შესაძლოა სხვადასხვა მიზანი ჰქონდეს (ინფორმირება, გართობა, საგანმანათლებლო, საკონსულტაციო, და სხვა), ამიტომ შერჩეული მეთოდოლოგია (დისკუსია, ინდივიდუალური ინტერვიუ ან კონსულტაცია, ჯგუფური შეხვედრა, პრეზენტაცია და სხვა.) და მიდგომა დამოკიდებულია იმაზე, რა მიზანს ემსახურება ჩვენი ვიზიტი.

- მობილური ახალგაზრდული საქმიანობის მიზნობრიობის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ის შესაძლოა განხორციელდეს განსხვავებულად, განსხვავებულ ადგილებში: სპეციალიზებულ ან არასპეციალიზებულ შენობაში, გარეთ, თავშეყრის ადგილებში, საზოგადოებივ სივრცეში, სკვერებში, სტადიონზე და სხვა.

- პროცესი უნდა ეფუძნებოდეს საერთო შეთანხმებულ პრინციპებს: მოხალისეობა, ხელმისაწვდომობა, მონაწილეობა, ურთიერთობების დამყარება და სხვა.



მობილური ახალგაზრდული საქმიანობა მნიშვნელოვანია, რადგან ის ორიენტირებულია ახალგაზრდების საჭიროებებზე, მათ ინტერესებზე, მოლოდინებსა და სწავლების პროცესზე. ის აღწევს იქ, სადაც ჩვეულებრივი ახალგაზრდული საქმიანობა შესაძლოა არ არსებობდეს ან ახალგაზრდები არ იყენებდნენ სხვა შესაძლებლობებსა და შეთავაზებებს.

22 კომპეტენციის ჩარჩო ეყრდნობა სახელმძღვანელოს „მობილური ახალგაზრდული საქმიანობის ევროპული გამოცდილებები და  პრაქტიკული გზამკვლევი“ - shorturl.at/fiozQ

## მობილური ახალგაზრდული საქმიანობის პრინციპები: [23]

- ხელმისაწვდომობა - უნდა იყოს ყველა ახალგაზრდისთვის შესაძლებელი, არ აქვს მნიშვნელობა, არის თუ არა რომელიმე ახალგაზრდული ორგანიზაციის ან სხვა სათემო ორგანიზაციის წევრი. ყველა აქტივობა უნდა ხორციელდებოდეს ახალგაზრდებზე მორგებულ თავისუფალ დროსა და მათთვის ხელმისაწვდომ ადგილას.

- ნებაყოფლობითი - ყველა ეტაპზე ჩართულობა და ახალგაზრდულ მუშაკთან კომუნიკაციის დამყარება არის საკუთარ სურვილსა და ახალგაზრდების კეთილ ნებაზე დამოკიდებული.

- ფოკუსირდება ახალგაზრდების საჭიროებებზე - მობილური ახალგაზრდული მუშაკები ითვალისწინებენ ახალგაზრდების, სქესის ნიშნით განსხვავებულ საჭიროებებს, მათი ცხოვრების სტილს, ცხოვრების პირობებს და პროცესი იგეგმება მხოლოდ ახალგაზრდების ინტერესებიდან გამომდინარე.

- თანამშრომლობითი - მობილური ახალგაზრდული მუშაკი ხელს უწყობს სექტორებს, ორგანიზაციებსა და მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობას.





- ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა - მობილური ახალგაზრდული მუშაკი ხელს უწყობს ახალგაზრდებსა და ახალგაზრდულ მუშაკებს შორის სანდოობის გაზრდას.

- ურთიერთპატივისცემა - მობილურმა ახალგაზრდულმა მუშაკებმა პატივი უნდა სცენ ახალგაზრდების მიერ არჩეული ცხოვრების სტილს, რაც შესაძლოა რადიკალურად განსხვავდებოდეს მუშაკების ღირებულებისაგან.

- აქტიური მონაწილეობა - მობილური ახალგაზრდული საქმიანობის ერთ-ერთი მოსალოდნელი შედეგია ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა. შესაბამისად, ყველა ეტაპზე მობილური ახალგაზრდული მუშაკი ხელს უწყობს ახალგაზრდების გადაწყვეტილების პროცესში ჩართულობას და ახალგაზრდებთან ერთად გეგმავს აქტივობებს.

- კონფიდენციალურობა - ახალგაზრდების პირადი ცხოვრების, მათი ცხოვრების სტილის, პირადი მონაცემების ან ოჯახური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მობილურმა ახალგაზრდულმა მუშაკმა უნდა დაიცვას მკაცრად. ასევე არ შეიძლება მესამე პირთან ინფორმაციის გამჟღავნება.

23 „მობილური ახალგაზრდული საქმიანობის ევროპული გამოცდილებები და პრაქტიკული გზამკვლევი" - shorturl.at/fiozQ

## კომპეტენციები: [24]

### 1. მობილური ახალგაზრდული საქმიანობა, მისი შესრულების ეტაპები

კომპეტენცია მოიცავს:

**ცოდნა:** მობილური ახალგაზრდული საქმიანობის არსისა და პრინციპების თეორიული ცოდნა, მისი ეტაპები, ინფორმაცია სამიზნე ჯგუფის შესახებ და ტერიტორიული ერთეულის (თემის, სოფლის) შესახებ სადაც ხორციელდება იგი, რა კონკრეტული სხვაობაა სხვა ახალგაზრდული საქმიანობის ტიპებთან/ფორმებთან, რა ეტაპები არის გასავლელი დაგეგმვიდან საქმიანობის შეფასებამდე.

**უნარი:** მობილური ახალგაზრდული საქმიანობის დაგეგმვა და ინიცირება, კომუნიკაცია, ლიდერობა, შეფასება, სიტუაციური ანალიზი, კვლევა ან ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და გენდერული ანალიზი.

**დამოკიდებულება და ღირებულება:** ღიაობა, მრავალფეროვნება, ინკლუზია, ადამიანის უფლებები, სანდოობა.

### 2. მობილური ახალგაზრდული საქმიანობის ბენეფიციარების მოზიდვა, მოტივაცია და ჩართვა

კომპეტენცია მოიცავს:

**ცოდნა:** ბენეფიციარების შესახებ ინფორმაციის ფლობა - სოციალური მდგომარეობა, ცხოვრების პირობები, ინფორმაციის ფლობა თემის დამოკიდებულებების შესახებ, ინფორმაციისა და კონტაქტების ფლობა ტერიტორიაზე (სადაც ხორციელდება ახალგაზრდული საქმიანობა) არსებული რესურსების შესახებ, ბენეფიციარების საჭიროებებისა და ინტერესების კვლევის ცოდნა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**უნარი:** მოწყვლად ჯგუფებთან კომუნიკაცია, პროცესების დაგეგმვა ახალგაზრდების ინტერესებიდან გამომდინარე, მართვა და განხორციელება, ანალიზი, კრეატიულობა, ინტერესებისა და საჭიროებების იდენტიფიცირება, საკუთარი თავის თანასწორად წარმოჩენა, აქტიური მოსმენა.

**დამოკიდებულება და ღირებულება:** მიმღებლობა, სანდოობა, თანასწორობა, ადამიანის უფლებები, მრავალფეროვნება, დეტალებზე ორიენტირებულობა.

---

24 მობილური ახალგაზრდული საქმიანობა - რატომ, ვისთვის, როგორ shorturl.at/jqFKT

## 3. მობილური ახალგაზრდული საქმიანობის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება

### კომპეტენცია მოიცავს:

**ცოდნა**: არაფორმალური განათლების მიდგომებისა და ახალგაზრდული საქმიანობის ფუნქციების, ეთიკის ცოდნა, მენტორინგის, ფასილიტაციის თეორიული საფუძვლებისა და მეთოდების ცოდნა, მრავალფეროვანი მეთოდების ცოდნა, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპების ცოდნა, ინფორმაციის ფლობა ბენეფიციარების შესახებ.

**უნარი:** პრეზენტაცია, აქტიური მოსმენა, კრეატიულობა, ანალიზი, სტრესულ გარემოში სწრაფი რეაგირება, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, ფასილიტაცია, მენტორობა, საგანმანათლებლო აქტივობის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება, მეთოდების ადაპტირება.

**დამოკიდებულება და ღირებულება:** მიმღებლობა, სანდოობა, დეტალებზე ორიენტირებულობა, ღიაობა, ნეიტრალურობა, თანასწორობის განცდა, თანასწორგანმანათლებლობა.

## 4. მობილური ახალგაზრდული მუშაკის სხვადასხვა სტრუქტურებთან/ინდივიდებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

### კომპეტენცია მოიცავს:

**ცოდნა:** ტერიტორიაზე (სოფლად, თემში, ქალაქში) არსებული რესურსების შესახებ ინფორმაციის ფლობა და კონტაქტები - ფართები, სტრუქტურები, სკოლები, ბაღები, სოციალური მუშაკები, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები.

**უნარი:** კომუნიკაცია და თანამშრომლობა, შეხვედრების ორგანიზება, ინტერესების ანალიზი.

**დამოკიდებულება და ღირებულება:** თანამშრომლობითი მიდგომა, მიმღებლობა, ღიაობა, ნეიტრალურობა, თემის წარმომადგენლების მონაწილეობა და ჩართულობა პროცესებში, ინკლუზია.

## 5. უსაფრთხო და მეგობრული გარემოს შექმნა ახალგაზრდებისთვის, სადაც ისინი შეძლებენ იყვნენ მეგობრებთან ერთად და დაამყარონ კომუნიკაცია თანატოლებთან.

კომპეტენცია მოიცავს:

**ცოდნა:** ტერიტორიაზე (სოფლად, თემში, ქალაქში) სოციალური ფონისა და პოლიტიკური სიტუაციის ცოდნა, არსებული კვლევების ცოდნა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ახალგაზრდების ინტერესებისა და საჭიროებების ცოდნა, მობილური ახალგაზრდული საქმიანობის არსებული პრაქტიკებისა და გამოცდილებების ცოდნა, უსფართხოებისა და ადამიანის უფლებების ზოგადი ცოდნა.

**უნარი:** შეხვედრის ადგილის იდენტიფიცირება, მეთოდებისა და მიდგომების შერჩევა, ანალიზი, აქტიური მოსმენა, ორგანიზება, კომუნიკაცია, კრეატიულობა, ახალგაზრდების მოტივაცია.

**დამოკიდებულება და ღირებულება:** ინკლუზია, სწავლისა და გამოცდილებების გაზიარების სურვილი, ახალგაზრდებისადმი ცნობისმოყვარეობა, ნეიტრალურობა, საერთო ინტერესების გამოძებნა, პროცესის მიმზიდველობა.

## 6. ახალგაზრდების სათემო აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობა, ახალგაზრდებსა და თემის წარმომადგენლებს შორის სანდოობის გამყარების საშუალებით.

კომპეტენცია მოიცავს:

**ცოდნა:** თემში არსებული წარსული გამოცდილებების შესახებ ინფორმაცია, ახალგაზრდების როლის, ფუნქციებისა და პოზიციის შესახებ ინფორმაცია, თემში მცხოვრები საზოგადოების ინტერესებისა და მიდგომების, კულტურის ცოდნა.

**უნარი:** დიალოგის წარმოება, მენტორინგი, ფასილიტაცია, კომუნიკაცია, ახალგაზრდების როლის იდენტიფიცირება თემში, აქტივობების ინიცირება, დაგეგმვა და განხორციელება ახალგაზრდებთან და თემის წარმომადგენლებთან ერთად, კონფლიქტური სიტუაციების მართვა, სტრესულ გარემოში მუშაობა, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება.

**დამოკიდებულება და ღირებულება:** მიმღებლობა, ინკლუზია, ახალგაზრდებისადმი ცნობისმოყვარეობა, ნეიტრალურობა, საერთო ინტერესების გამოძებნა, პროცესის მიმზიდველობა, მონაწილეობა, ჩართულობა.

## 7. ახალგაზრდების კონსულტირება, ინფორმირება ან მათი დაკავშირება სხვადასხვა ორგანიზაციებთან, ინსტიტუციებთან ან ინდივიდებთან სხვადასხვა სიტუაციაში

კომპეტენცია მოიცავს:

**ცოდნა:** ინფორმაციის ფლობა სხვადასხვა პოტენციურად საჭირო ორგანიზაციის, ინსტიტუციის, სახელმწიფო ორგანოების ან ინდივიდის ფუნქცია-მოვალეობებისა და კონტაქტების შესახებ (მაგალითად: იურიდიული კომპანიები, პირადი იურისტები, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, ფონდები, ახალგაზრდული ორგანიზაციები, მენტორები, ქოუჩები და სხვ.).

**უნარი:** კომუნიკაციის დამყარება, თანამშრომლობა, ბაზებისა და კონტაქტების რელევანტურად გამოყენება, სიტუაციური ანალიზი, სწრაფი რეაგირების მოხდენა (საჭიროების შემთხვევაში).

**დამოკიდებულება და ღირებულება:** თანამშრომლობა, ადამიანის უფლებები, ინკლუზია, პოზიტიურობა.

## 8. ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება და მონაწილეობის ხელშეწყობა სხვადასხვა აქტივობების საშუალებით

კომპეტენცია მოიცავს:

**ცოდნა:** ძირითადი საკითხების ცოდნა - ადამიანის უფლებები ზოგადად, დისკრიმინაცია, ბულინგი და სხვ.

**უნარი:** ადაპტირებული აქტივობების დაგეგმვა, ფასილიტაცია, ლიდერობა, საჭიროებებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება, მეთოდების ადაპტირება და მორგება სამიზნე ჯგუფის საჭიროებებზე, ორგანიზებულობა, კომუნიკაცია.

**დამოკიდებულება და ღირებულება:** ნეიტრალურობა, პოზიტიურობა, საერთო ინტერესების იდენტიფიცირება, ახალგაზრდების პროცესში ჩართულობა და მონაწილეობა, პასუხისმგებლობის გრძნობა.

## სკოლის ახალგაზრდული მუშაკის კომპეტენციების ჩარჩო

სასკოლო ახალგაზრდული საქმიანობა არის არაფორმალური განათლება ფორმალური განათლების სივრცეში. სკოლის სივრცეში ახალგაზრდული მუშაკის არსებობა მნიშვნელოვანია, რადგან მასწავლებლისგან განსხვავებით, ახალგაზრდული მუშაკი სკოლის მოსწავლეებს ხელს უწყობს გაიგონ მეტი საკუთარ თავზე, სხვებზე, საზოგადოებაზე არაფორმალური განათლების გზით. ასევე, ახალგაზრდული მუშაკი უზრუნველყოფს მოსწავლეების ინტერესებსა და მათ საჭიროებებზე მორგებული არაფორმალური განათლების აქტივობების ორგანიზებას, რაც აერთიანებს გართობას, გამოწვევებსა და სწავლებას. ეს პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში აისახება ახალგაზრდების ქცევასა და მათ კეთილდღეობაზე.



ყველა სკოლას ჰყავს მოსწავლეები, რომლებიც ვერ ახერხებენ სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებასთან გამკლავებას. ეს მიზეზი შესაძლოა მრავალი იყოს: ოჯახი, ქუჩა, უბანი, ძალადობა და ა.შ. ასეთი მიზეზების გამო, ისინი შეიძლება განწირულნი იყვნენ და შეეგუონ წარუმატებლობას. ამ ტიპის მოსწავლეების რისხვა და დამოკიდებულება ხშირად იწვევს დაპირისპირებას მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის, რამაც შესაძლოა მოსწავლის გარიყვამდე მიგვიყვანოს.

ახალგაზრდული მუშაკი არის დამოუკიდებელი ადამიანი. მოსწავლეებს შეუძლიათ მიმართონ ნებისმიერ დროს მხარდაჭერისთვის, არაგანსჯითი ურთიერთობების გამო. მას აქვს ურთიერთობებისა და კომუნიკაციის უნარი, რითაც შესაძლოა მოსწავლეს აღმოუჩინოს დახმარება არაფორმალური განათლების გზით. ახალგაზრდული მუშაკი აორგანიზებს აქტივობებს, რომლებსაც შეუძლია მოსწავლეები ჩამოაშოროს ცუდ ქცევას და გამოაცდევინოს წარმატება. გარდა ძირითადი კომპეტენციებისა, სკოლის ახალგაზრდულ მუშაკს უნდა ჰქონდეს შემდეგი კომპეტენციები.

## კომპეტენციები:

### 1. ოჯახთან (მშობლებთან, მეურვეებთან) ურთიერთობის კომპეტენცია კომპეტენცია მოიცავს:



**ცოდნა:** ინფორმაციის ფლობა სხვადასხვა პოტენციურად საჭირო ორგანიზაციის, ინსტიტუციის, სახელმწიფო ორგანოს ან ინდივიდის ფუნქცია-მოვალეობებისა და კონტაქტების შესახებ (მაგალითად: იურიდიული კომპანიები, პირადი იურისტები, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, ფონდები, ახალგაზრდული ორგანიზაციები, მენტორები, ქოუჩები და სხვ); ურთიერთობის ხელოვნების თეორია და კომუნიკაციის საფუძვლები; მოსწავლეების სოციალური და ეკონომიკური სიტუაციის ცოდნა.

**უნარი:** კომუნიკაცია, დიალოგის დამყარება, თანამშრომლობა, ბაზებისა და კონტაქტების რელევანტურად გამოყენება, სიტუაციური ანალიზი, სწრაფი რეაგირების მოხდენა (საჭიროების შემთხვევაში).

**დამოკიდებულება და ღირებულება:** თანამშრომლობა, ადამიანის უფლებები, ინკლუზია, პოზიტიურობა.

## 2. სკოლის მოსწავლეებთან მუშაობის კომპეტენცია

### კომპეტენცია მოიცავს:

**ცოდნა:** მოსწავლეების ინტერესებისა და საჭიროებების ცოდნა ასაკის მიხედვით, დაკვირვებისა და გამოკითხვის ტექნიკების ცოდნა, ადამიანის უფლებების - კერძოდ მოსწავლეების ცოდნა, სკოლის მუშაობის სისტემის ცოდნა, ახალგაზრდების ფსიქოლოგიის ზოგადი ცოდნა.

**უნარი:** კვლევა, დაკვირვება, აქტიური მოსმენა, კომუნიკაცია, დიალოგის დამყარება, თანამშრომლობა, სწრაფი რეაგირების მოხდენა (საჭიროების შემთხვევაში), უფლებების გათვალისწინება.

**დამოკიდებულება და ღირებულება:** თანასწორობა, სოლიდარობა, თანამშრომლობა, ადამიანის უფლებები, ინკლუზია, პოზიტიურობა, სანდოობა.

## 3. სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან თანამშრომლობის კომპეტენცია

### კომპეტენცია მოიცავს:

**ცოდნა:** სკოლის სისტემისა და მენეჯმენტის ცოდნა, განათლების სისტემის ზოგადი ცონა, მოსწავლეების ფორმალური განათლების კურიკულუმის ცოდნა, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის საჭიროებების ცოდნა.

**უნარი:** კვლევა, დაკვირვება, აქტიური მოსმენა, კომუნიკაცია, დიალოგის დამყარება, თანამშრომლობა, ნდობის მოპოვება.

**დამოკიდებულება და ღირებულება:** ინსპირაცია, თანამშრომლობა, ადამიანის უფლებები, ინკლუზია, პოზიტიურობა, სანდოობა.

### 4. მოსწავლეებისთვის სხვადასხვა შესაძლებლობის მოძიებისა და ინფორმირების კომპეტენცია

კომპეტენცია მოიცავს:

**ცოდნა:** ცოდნა პოტენციური საერთაშორისო ან ადგილობრივი სასწავლო, გასართობი პროგრამების შესახებ, ინფორმაცია პოტენციური ფონდების შესახებ, ცოდნა პროექტის მართვის შესახებ.

**უნარი:** ინფორმირება, განაცხადის გაკეთება, კომუნიკაცია, ანალიზისა და ლიდერობის უნარი.

**დამოკიდებულება და ღირებულება:** მოტივაცია, ინსპირაცია, თანამშრომლობა, ინკლუზია, პოზიტიურობა, სანდოობა.

### 5. სკოლის მოსწავლეების მენტორინგისა და კონსულტირების კომპეტენცია

კომპეტენცია მოიცავს:

**ცოდნა:** ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ, მათი და თავიანთი ოჯახის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სიტუაციის ცოდნა, მენტორინგის ტექნიკების გამოყენების ცოდნა არასრულწლოვნებთან.

**უნარი:** მენტორინგი, სიტუაციური ანალიზი, შეფასება, სწრაფი რეაგირება.

**დამოკიდებულება და ღირებულება:** სანდოობა, ცნობისმოყვარეობა, ადამიანის უფლებები კონფიდენციალურობა.



**რეკომენდაცია:**
*ყველა ახალგაზრდული მუშაკისთვის:*

*რა უნდა იცოდეს ახალგაზრდულმა მუშაკმა ?*

**1**

*ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია*[25]

**2**

*ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია* [26]

**3**

*საქართველოს კონსტიტუცია და ძირითადი უფლებები*

**4**

*კანონი ახალგაზრდობის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ალტერნატიული პოლიტიკის დოკუმენტები*

**5**

*ახალგაზრდული პოლიტიკა*[27]

**6**

*კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ* [28]

**7**

*ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო კომპასი* [29]

**8**

*ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო ბუქმარქსი* [30]

**9**

*ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ განახლებული ევროპული ქარტია* [31]

**10**

*ახალგაზრდული საქმიანობის კონვენცია* [32]

**11**

*სექსუალური შევიწროების პრევენციისა და დაცვის მექანიზმები* [33]

25 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია https://bit.ly/3zupTgq
26 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია https://bit.ly/3eQbuTX
27 2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია https://bit.ly/3kU3xkJ
28 https://bit.ly/3y0Abov
29 https://www.coe.int/en/web/compass
30 https://bit.ly/3kIO6dc
31 https://rm.coe.int/1680703908
32 https://www.eywc2020.eu/en/convention/
33 http://sexualharassment.ombudsman.ge/ka/login

# თვითშეფასებისა და თვითგანვითარების ინსტრუმენტი

## თვითშეფასების ინსტრუმენტი

თვითშეფასების ინსტრუმენტს ახალგაზრდული მუშაკი იყენებს ხელსაწყოში წარმოდგენილი ძირითადი და სპეციფიკური კომპეტენციების შესაფასებლად. შეფასების პროცესში ჩართულმა ახალგაზრდულმა მუშაკმა შესაძლოა იხელმძღვანელოს პირველ თავში მოცემული ინფორმაციით, რათა თვითშეფასების პროცესი მაქსიმალურად ეფექტიანად წარიმართოს.

ახალგაზრდული საქმიანობის პირადი ხელსაწყოს შექმნის პირველი ნაბიჯი თვითშეფასების კითხვარის შევსებაა. კითხვარი შემდეგნაირია:

### ახალგაზრდული მუშაკის კომპეტენციების შეფასების კითხვარი

| კომპეტენციის დასახელება: | |
|---|---|
| რამდენად იყენებთ აღნიშნულ კომპეტენციას თქვენი ახალგაზრდული საქმიანობის პროფესიულ პრაქტიკაში? | 1. სრულად არ ვიყენებ<br>2. ძირითადად არ ვიყენებ<br>3. ვიყენებ<br>4. ძირითადად ვიყენებ<br>5. სრულად ვიყენებ |

| მოიყვანეთ მაგალითები თქვენი ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკიდან, სადაც ნათლად ჩანს აღნიშნული კომპეტენციის გამოყენება თქვენ მიერ გაცემული პასუხის შესაბამისად. | |
|---|---|
